განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის ექსპერტთა დასკვნა

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

<u>თავმჯდომარე:</u>
ჟან რომ რაბე, ვისმარის უნივერსიტეტი - საზღვაო კვლევების დეპარტამენტი; გერმანია

<u>წევრები:</u>
ვახტან ბეროშვილი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო
თორნიკე ხოშტარია, უნივერსიტეტი გეომედი, საქართველო
ია მოსაშვილი, ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო
ნინო გორგოშაძე, შპს ოკეანგოლდი ბათუმი
ქრისტინე ახალაძე, სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო
ია ბუცხრიკიძე, შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტი, საქართველო

თბილისი
2024

ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

სსიპ - სასწავლო უნივერსიტეტის - ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ინსტიტუციური შეფასების ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტები, კონკრეტულად, ბსსა - ს თვითშეფასების ანგარიში, საგანმანათლებლო პროგრამები, პოლიტიკა, წესები და სხვა დოკუმენტები, რომლებიც გვაწვდიან ინფორმაციას დაწესებულების სტრუქტურის და უსდ - ს სტანდარტების შესრულების შესახებ.

აღნიშნული დოკუმენტაციის შესწავლის შემდეგ განხორციელდა 4 დღიანი ვიზიტი, გასაუბრების სესიები, ბსსა - ს მატერიალური რესურსების, სასწავლო გემის და ფოთის ფილიალის დათვალიერება. 7 ადამიანისგან შემდგარმა ექსპერტთა ჯგუფმა, მათ შორის ერთმა საერთაშორისო ექსპერტმა შეამოწმა დაწესებულება ავტორიზაციის 7 სტანდარტთან მიმართებით.

ვიზიტის ბოლო დღეს, ექსპერტთა ჯგუფის ადგილობრივ წევრებთან ერთად, განხორციელდა დასკვნის პროექტის ძირითადი ნაწილების ჩამოყალიბება.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

უსდ - ს მისია შეესაბამება საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების მიზნებს და განსაზღვრავს მის როლს და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცეში და საზოგადოებაში, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე.

უსდ - ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს მართვის პროცესში მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურად გამოყენებას. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, მართვის პროცესში ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას და ხელს უწყობს კეთილსინდისიერებისა და ეთიკის პრინციპებს.

<u>უსდ - ს მისია და სტრატეგიული განვითარება შეესაბამება სტანდარტების მოთხოვნებს:</u>

1.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

1.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2.3 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

3.3 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

4.2 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

6.1 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

6.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

6.3 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

7.1 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

7.2 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

7.3 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

7.4 მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

რეკომენდაციები

სტანდარტი 1.2:

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობა სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში.

სტანდარტი 2.1:

- რეკომენდებულია, ეფექტური შედეგების მიღწევის მიზნით, სტრუქტურულმა ერთეულებმა იმუშაონ უფრო მკაფიოდ და უზრუნველყონ ერთმანეთთან კოორდინაცია.

სტანდარტი 2.2:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს პერსონალის ინფორმირებულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით.

სტანდარტი 3.1:

- რეკომენდებულია, დაინერგოს მექანიზმები ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით ტექნიკური მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის (საზღვაო ინჟინერია, საზღვაო ელექტრო ინჟინერია).
- რეკომენდებულია, გაძლიერდეს კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შეფასებაში იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებსაც აქვთ კურსდამთავრებულების დასაქმების დაბალი მაჩვენებლები.
- რეკომენდებულია, საერთაშორისო მიდგომების გამოყენება საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და პროგრამის შემუშავებამდე და განხორციელებამდე ჩატარდეს არსებული შრომის ბაზრის დეტალური კვლევა / მიზანშეწონილობის შესწავლა, იმისათვის რომ, საფუძვლიანად იყოს გაანალიზებული ახალი პროგრამის შესაბამისობა და განისაზღვროს პროგრამის განხორციელების და მიწოდების შესაბამისი რისკები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

სტანდარტი 3.2:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ კატალოგებში და ყველა დაკავშირებულ დოკუმენტში ასახოს პროგრამების შესახებ მკაფიო და სწორი ინფორმაცია და უზრუნველყოს პერსონალის უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში.

სტანდარტი 3.3:

- რეკომენდებულია, სწავლის შედეგების ანგარიშში უფრო მკაფიო და დეტალური ანალიზის გათვალისწინება.
- რეკომენდებულია, რომ ასევე აკადემიური პერსონალი უფრო აქტიურად იყოს ჩართული სწავლის შედეგების გაანალიზების და გაუმჯობესების პროცესში.

სტანდარტი 4.1:

- რეკომენდებულია, შემოწმდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა. ცხადია, რომ რაოდენობრივად უფრო მეტია მოწვეული აკადემიური პერსონალი, ვიდრე მუდმივი აკადემიური პერსონალი.

სტანდარტი 4.2:

- რეკომენდებულია, უნივერსიტეტმა შეიმუშავოს მექანიზმები, იმისათვის რომ დაარწმუნოს მოწვეული პერსონალი გახდეს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი. ამისათვის ბსსა - მ უნდა დაადგინოს მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მოწვეულ პერსონალს შეუერთდნენ მუდმივ აკადემიურ პერსონალს და შეეცადოს აღმოფხვრას დამაბრკოლებელი გარემოებები მიზნობრივი გზით.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პერსონალის დატვირთვა (აკადემიური / ადმინისტრაციული), იმისათის რომ, მათ ჰქონდეთ დაბალანსებული სამუშაო დატვირთვა ადმინისტრაციული, სასწავლო და კვლევითი ფუნქციების განსახორციელებლად.

სტანდარტი 6.3:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ დაამტკიცოს, რომ მას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისი კომპეტენციები იმისათის, რომ შეაფასოს კვლევითი საქმიანობის ხარისხი. კვლევითი საქმიანობის შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩართული უნდა იყოს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი.

სტანდარტი 7.1:

- რეკომენდირებულია აკადემიის სასწავლო, ტრენინგის ზონისა და დამხმარე სივრცეების გამოყოფა საზოგადოებრივი საცხოვრებელი კორპუს(ებ)ისაგან.
- რეკომენდებულია საევაკუაციო გასასვლელის კარების შეცვლა (არ უნდა იყოს რკინის მასალისგან დამზადებული და უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ).

სტანდარტი 7.3:

- რეკომენდებულია, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის:
    - უსადენო კავშირი (ხელმისაწვდომი უნდა იყოს საუნივერსიტეტო სივრცეში) და
    - შესაბამისი აპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით;

- რეკომენდებულია, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.

სტანდარტი 7.4:

- რეკომენდებულია, სამეცნიერო - კვლევითი აქტივობების დაფინასების გაძლიერება.

რჩევები

სტანდარტი 2.1:

- სასურველია, უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდეს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები.

სტანდარტი 3.2:

- სასურველია, უფრო ინტენსიურად და ეფექტურად იყოს გამოყენებული ძალიან კარგი არსებული ინფრასტრუქტურა (ე.წ სიმულატორები).

სტანდარტი 4.2:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ დაადგინოს მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მოწვეულ პერსონალს შეუერთდნენ მუდმივ აკადემიურ პერსონალს და შეეცადოს აღმოფხვრას დამაბრკოლებელი გარემოებები მიზნობრივი გზით.
- სასურველია აკადემიამ დაამტკიცოს, რომ კონკურენტული ანაზღაურების გარდა (რაც, სავარაუდოდ, განსაკუთრებით რთული იქნება მეზღვაურებისთვის), კვლევისა და აკადემიური კვალიფიკაციის შესაძლებლობა დამატებითი სტიმული შეიძლება იყოს.

სტანდარტი 5.1:

- სასურველია, რომ სტუდენტური თვითმმართველობა იყოს უფრო მეტად ინფორმირებული და დამოუკიდებელი და აღნიშნულის შედეგად უფრო აქტიური.

სტანდარტი 6.1:

- სასურველია, მეტი აქტივობების შემუშავება საერთაშორისო აქტუალურ თემებზე კვლევითი პროექტების განსახორციელებლად.
- სასურველია, უნივერსიტეტის მხრიდან გაიზარდოს წახალისების ღონისძიებები, ზღვრული პირობების დადგენისთვის; კვლევითი გუნდების გაზრდის მიზნით ერთი ან მეტი ინტერესის სფეროს შეთავაზება, რაც სხვადასხვა კვლევით ჯგუფს უზრუნველყოფს არჩეულ ძირითად თემებზე ინტერდისციპლინური სამუშაო პირობებით.

სტანდარტი 6.2:

- სასურველია, კვლევით შესაძლებლობებთან დაკავშირებით SWOT ანალიზის გაკეთება, რათა იდენტიფიცირებულ იქნას პერსპექტიული და მოთხოვნადი კვლევითი მიმართულებები, ასევე მოიძებნოს საერთაშორისო პარტნიორები და კვლევითი პროგრამები.
- სასურველია მოიძებნოს სამეცნიერო პერსონალი კვლევითი პროექტებისთვის, რომლებიც მუდმივად იმუშავებენ ერთი კონკრეტული - და პოტენციურად, მონათესავე - მიმართულებების ფარგლებში, რაც მიზნად ისახავს შერჩეულ სფეროებში კომპეტენციების ფორმირებასა და კონსოლიდაციას.

- სასურველია, დაწესებულებამ წაახალისოს კვლევით აქტივობებში უფრო აქტიური მონაწილეობა, რაც კვლევით საქმიანობას გახდის უფრო მიმზიდველს (დრო, კვალიფიკაციის შანსები, მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში).

სტანდარტი 7.1:

- სასურველია, საერთო საცხოვრებლის მოდერნიზება.

სტანდარტი 7.2:

- სასურველია, ბიბლიოთეკაში გაიზარდოს სტუდენტური სამუშაო სივრცე.

საუკეთესო პრაქტიკა

სტანდარტი 4.2:

- ბსსა - ს საგანმანათლებლო პროგრამებში, მოწვეული პერსონალის სტატუსით ჩართული ჰყავს აქტიური მეზღვაურები. ეს გულისხმობს, რომ თემები ყოველთვის თანამედროვე დონეზეა და მოქმედ ოფიცრებთან და ინჟინრებთან ურთიერთობა ძალიან ღირებულია სტუდენტებისთვის. უწყვეტი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ბსსა იყენებს აქტიური მეზღვაურების საკუთარ მონაცემთა ბაზას, რაც ძალიან სასარგებლოა. გარდა ამისა, აღსანიშნავია მოწვეული პერსონალის ჩართულობა აკადემიის სტრუქტურებსა და მისიაში.

სტანდარტი 6.1:

- სხვადასხვა კვლევითი საქმიანობისთვის, ბსსა - ს აქვს შესანიშნავი ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, სახელოსნოები, სიმულატორები, ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა და წვდომა ონლაინ ბიბლიოთეკებზე, როგორიც არის "Science Direct"). გარდა ამისა, ბსსა არის საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის (IAMU) აქტიური წევრი, რომელიც საშუალებას აძლევს დაწესებულებას მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციებში და წარადგინოს სტუდენტური სამეცნიერო პრეზენტაციები.

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	**შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**	**არ შეესაბამება მოთხოვნებს**
1.	**უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება**	☒	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☒	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☒	☐	☐
2.	**უსდ-ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა**	☐	☒	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☒	☐	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☒	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☒	☐	☐	☐
3.	**საგანმანათლებლო პროგრამები**	☐	☒	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☒	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☒	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☒	☐	☐
4	**უსდ-ის პერსონალი**	☐	☒	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☒	☐	☐
4.2	აკადემიური / სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☒	☐	☐
5	**სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები**	☒	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვები, ცვლილების და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☒	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒	☐	☐	☐
6	**კვლევა, განვითარება ან / და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა**	☒	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☒	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☒	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☒	☐	☐
7	**მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები**	☐	☒	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☒	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☒	☐	☐	☐
7.3	ინფორმაციული რესურსები	☐	☒	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☒	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. ჟან რომ რაბე (თავმჯდომარე)
2. ვახტანგ ბეროშვილი (წევრი)
3. თორნიკე ხოშთარია (წევრი)
4. ია მოსაშვილი (წევრი)
5. ნინო გორგოშაძე (წევრი)
6. ქრისტინე ახალაძე (წევრი)
7. ია ბუცხრიკიძე (წევრი)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ - ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

1.1 უსდ-ის მისია
უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და / ან საერთაშორისო დონეზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი: ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის მისია წარმოადგენს მისი სტრატეგიული განვითარების გეგმის განუყოფელ ნაწილს, რომელიც მუდმივად იხვეწება, ხორციელდება და ზიარდება აკადემიურ საზოგადოებას და დაინტერესებულ მხარეებს შორის. აღნიშნული მუდმივი დახვეწა უზრუნველყოფს, რომ ბსსა - ს როლი და ადგილი მკაფიოა უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცეში და საზოგადოებაში, როგორც ადგილობრივ ასევე საერთაშორისო დონეზე, დაწესებულება მუდმოივად ახდენს ადაპტირებას ინდუსტრიის და საზოგადოების ცვალებად საჭიროებებთან. ბსსა - ს მისია ხაზს უსვამს მის ერთგულებას განათლების და სწავლების უზრუნველყოფაზე, რომელიც აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ხელს უწყობს პასუხისმგებელი სპეციალისტების და ლიდერების აღზრდას. მისია მოიცავს პროფესიული პრობლემების გადაჭრის, გუნდური მუშაობის და პირადი პოტენციალის რეალიზაციის კომპეტენციის განვითარებას. ის ხაზს უსვამს თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებულ განათლებას და უწყვეტ სწავლას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტების კონკურენტუნარიანობას შრომის ბაზარზე. მისია ასევე მიუთითებს პიროვნული განვითარების ხელშეწყობისა და ცოდნის გავრცელების მნიშვნელობაზე. ბსსა - ს მისიაა ფუნქციონირებდეს, როგორც საგანმანათლებლო ცენტრი, რომელიც ამზადებს კონკურენტუნარიან სპეციალისტებს საზღვაო და მასთან დაკავშირებულ სფეროებში. ის შექმნილია იმისათვის, რომ ასახოს აკადემიის სპეციფიკური მახასიათებლები და პრიორიტეტები, დაწესებულების ტიპის და ძირითადი ფუნქციების და მიზნების გათვალისწინებით. სამუშაო ჯგუფმა, აკადემიური საზოგადოების და დაინტერესებული მხარეების აქტიური მონაწილეობით, კრიტიკულად განიხილა მიმდინარე მისია და შეთანხმდა აუცილებელი ცვლილებების განხორციელებაზე. მათმა შეხედულებებმა და წვლილმა მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მისიის განაცხადის გადასინჯვაში, რომელიც შემდეგ გაზიარდა ბსსა - ს თანამშრომლებს,

სტუდენტებს და დაინტერესებულ მხარეებს შორის და საჯაროდ ხელმისაწვდომია აკადემიის ვებგვერდზე. აღნიშნული პროცესი, უზრუნველყოფს იმას, რომ მთელი ბსსა - ს საზოგადოება იცნობს და მხარს უჭერს მისიას, მოწმობს ყველა ჩართული პირის საერთო პასუხისმგებლობას და ვალდებულებას, რაც დადასტურდა დაინტერესებულ მხარეებთან გასაუბრებების დროს.
მტკიცებულელები/ინდიკატორები • ბსსა - ს თვითშეფასების ანგარიში; • საზღვაო უსაფრთხოების ევროპული სააგენტოს (EMSA) დასკვნა და უკუკავშირი; • ინტერნაციონალიზაციის ანგარიში; • აკადემიური საბჭოს და სენატის ანგარიშები; • ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1.2 სტრატეგიული განვითარება
• უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების გეგმა (შვიდწლიანი) და სამოქმედო გეგმა (სამწლიანი). • უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლების პრინციპის განხორციელებას. • უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის სტრატეგიული გეგმა არის არა სტატიკური, არამედ ცოცხალი დოკუმენტი, რომელიც მუდმივად ვითარდება მისი ინსტიტუციური მიზნების შესრულების უზრუნველსაყოფად. 2006 წელს შემუშავებული გეგმა ყოველთვის ღიაა გაუმჯობესებისთვის, რომელშიც ინტეგრირებულია ცნობილი უნივერსიტეტების საუკეთესო პრაქტიკა, როგორიც არის ნიუ - იორკის სახელმწიფო უნივერსიტეტი და ნიუფაუნდლენდის მემორიალური უნივერსიტეტის საზღვაო ინსტიტუტი. მუდმივი გაუმჯობესების და საუკეთესო პრაქტიკის დანერგვის აღნიშნული ვალდებულება უზრუნველყოფს იმას, რომ სტრატეგიული განვითარების გეგმა ასახავს პრიორიტეტებს, მიზნებს, მექანიზმებს და მომდევნო შვიდი წლისთვის მოსალოდნელ შედეგებს, რაც ეფექტურად წარმართავს ბსსა - ს დასახული მიზნების მიღწევისკენ.

ბსსა - ს მიზნები გამომდინარეობს მისიიდან და ასახავს მის ძირითად საქმიანობას. აღნიშნული მიზნები ისეა სტრუქტურირებულია, რომ იყოს რეალისტური, კონკრეტული ვადების და გაზომვადი შედეგების გათვალისწინებით. სტრატეგიული გეგმა, რომელიც განახლებულია დაწესებულების მისიის შესაბამისად, განსაზღვრავს სტრატეგიულ პრიორიტეტებს, რომლებიც წარმართავს ბსსა - ს მდგრადი განვითარებისკენ.

ბსსა იყენებს ყოვლისმომცველ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას, რომელიც მორგებულია მის უნიკალურ საჭიროებებზე. მეთოდოლოგია გულისხმობს არსებული მდგომარეობის შეფასებას, გამოწვევებისა და რისკების ანალიზს და სტრატეგიული ინიციატივებისა და შესრულების ინდიკატორების განსაზღვრას. დაწესებულების მიდგომა უზრუნველყოფს სისტემურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ დაგეგმვას სტრატეგიული მიზნების მიღწევის მკაფიო ჩარჩოს გამოყენებით.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სტრატეგიული დაგეგმვის პროცესი ბსსა - ში ხორციელდება მაღალი დონის მონაწილეობით. პროცესი მოიცავს კონსულტაციებს აკადემიურ და ადმინისტრაციულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და მარეგულირებელ ორგანოებთან. აღნიშნული ინკლუზიური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტრატეგიული გეგმა ასახავს ყველა დაინტერესებული მხარის საჭიროებებს და პერსპექტივებს, ხელს უწყობს საკუთრების გრძნობას და ვალდებულებას დაწესებულების მიზნების მიმართ. თუმცა, გასაუბრებების დროს გამოვლინდა, რომ საჭიროა დაინტერესებული მხარეების ჩართულობის გაზრდა.

ბსსა - ს სტრატეგიული განვითარების გეგმა ყოვლისმომცველად ეხება დაწესებულების ფუნქციონირების ყველა კრიტიკულ ასპექტს. ის მოიცავს ინსტიტუციური განვითარების სტრატეგიებს, ხარისხის უზრუნველყოფას, საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვასა და განხორციელებას, სტუდენტების რაოდენობის დაგეგმვას, კვლევით საქმიანობას, ადამიანური და მატერიალური რესურსების მართვას, სტუდენტთა სერვისებს და ინფრასტრუქტურის განვითარებას. ჰოლისტური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ ყველა მნიშვნელოვანი მიმართულება განვითარებული და კოორდინირებულია.

სამოქმედო გეგმა, რომელიც გამომდინარეობს სტრატეგიული გეგმიდან ითვალისწინებს სამომავლო აქტივობების დეტალურ აღწერას, განხორციელების ვადებს, შესრულების კრიტერიუმებს და საჭირო რესურსებს. ასეთი დონის დეტალური განაწილება მიუთითებს აქტივობების კარგად დაგეგმვასა და რესურსების უზრუნველყოფაზე, რაც ხელს უწყობს ეფექტურ შესრულებას და მონიტორინგს.

ბსსა - ს აქტიურად შეაქვს წვლილი საზოგადოების განვითარებაში სხვადასხვა პროგრამის და ღონისძიების საშუალებით. აღნიშნული მოიცავს სოციალურ, კულტურულ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით ინიციატივებს და მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის შესაძლებლობებს. აკადემია აწყობს საჯარო ლექციებს, საგანმანათლებლო ვიზიტებს, საზაფხულო სკოლებს და სხვა აქტივობებს, რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის გავრცელებას და საზოგადოების ჩართულობას.

ბსსა - ს აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი აგვარებს მნიშვნელოვან სოციალურ საკითხებს, უზრუნველყოფს ექსპერტულ საკონსულტაციო მომსახურებას და ატარებს კვლევებს სხვადასხვა ორგანიზაციისთვის. აღნიშნული ჩართულობა უზრუნველყოფს, აკადემიის გამოცდილებით საზოგადოების გამოწვევებსა და წინსვლაში წვლილის შეტანას.

ბსსა - ს შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგის პროცედურები. რეგულარულად ტარდება შეფასებები და შედეგები წარმოდგენილია ყოვლისმომცველ ანგარიშებში. აღნიშნული ანგარიშები მოიცავს ინფორმაციას აუცილებელ ცვლილებებზე და მოქმედებებზე, რაც უზრუნველყოფს იმას რომ დაწესებულება რჩება სწორ გზაზე სტრატეგიული მიზნების მისაღწევად.

მტკიცებულელები/ინდიკატორები ბსსა - ს თვითშეფასების ანგარიში; საზღვაო უსაფრთხოების ევროპული სააგენტოს (EMSA) დასკვნა და უკუკავშირი; ინტერნაციონალიზაციის ანგარიში; აკადემიური საბჭოს და სენატის ანგარიშები; ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, გაძლიერდეს დაინტერესებული მხარეების ჩართულობა სტრატეგიული გეგმის შემუშავების პროცესში.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2. უსდ - ს ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია არის სასწავლო უნივერსიტეტი და მისი ორგანიზაციული სტრუქტურის მიხედვით საზღვაო აკადემიის მმართველი ორგანოებია რექტორი, აკადემიური საბჭო, სენატი და მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრი. აკადემიას აქვს საკუთარი დებულება. რომლის მიხედვითაც, აკადემია ანგარიშვალდებულია საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს წინაშე და მოქმედებს „უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის“ და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ დებულებების ჩარჩოს ფარგლებში.

საზღვაო აკადემიის ორგანიზაციული სტრუქტურა მკაფიოა, ის განთავსებულია დაწესებულების ვებგვერდზე და დაინტერესების შემთხვევაში ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ მხარისთვის. ძირითად საგანმანათლებლო ერთეულებს წარმოადგენს ფაკულტეტები, დამხმარე საგანმანათლებლო ერთეულები, ასევე დამხმარე სტრუქტურული ერთეულებია დეპარტამენტები (ღონისძიებების განყოფილება, ადამიანური რესურსების მართვის დეპარტამენტი, იურიდიული დეპარტამენტი) და ბიბლიოთეკა. სასწავლო ცენტრი, რომელიც წარმოადგენს აკადემიის ნაწილს, ახორციელებს იმავე სასწავლო და გადამზადების აქტივობებს, რასაც აკადემია. აკადემიის სტრუქტურული ერთეულების უფლება - მოვალეობები გაწერილია შინაგანაწესში.

თითოეული სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების დეტალური აღწერა მოიცავს დეტალურ ფარგლებს, მიზნებს და ამოცანებს, რომლებიც პროცედურულად შესაბამისობაშია აკადემიის სტრატეგიული განვითარების გეგმასთან. ამასთან დაკავშირებით უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთ საკითხში ადმინისტრაციის მხრიდან საჭიროა მეტი გამჭვირვალობის უზრუნველყოფა, იმისათვის რომ ყველა სტრუქტურულმა ერთეულმა იცოდეს და კარგად ჰქონდეს გააზრებული კონკრეტული სტრუქტურული ერთეულის ის საკითხები, რომელთანაც მათ უწევთ შეხება. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ საქმის წარმოება კარგად არის აღწერილი აკადემიის ელექტრონული პროცედურების წესში, გასაუბრებებისას დადგინდა, რომ ზოგიერთ სტრუქტურულ ერთეულს არ ჰქონდა ინფორმაცია აკადემიის საერთაშორისო სტუდენტების შესახებ. ასევე, ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულის წარმომადგენლებმა ექსპერტთა ვიზიტის დროს შეიტყვეს, რომ წინა წლის აგვისტოდან სავალდებულოა დაწესებულებამ განცხადებით აცნობოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს იმ საერთაშორისო სტუდენტების შესახებ, რომლებმაც შეიჩერეს სტუდენტის სტატუსი. უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებამ აღნიშნული საკითხი მოაგვარა ექსპერტთა ვიზიტის დროს და განაცხადა, რომ ერთი უცხოელი სტუდენტის სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადება უკვე გაგზავნილი იყო იუსტიციის სამინისტროში. ექსპერტების მიერ შემთხვევითი შერჩევის პრინციპით, გადამოწმდა ელექტრონული და დოკუმენტური საქმის წარმოებები, დოკუმენტების მართვის პროცედურების და დოკუმენტების კონტროლის მაგალითების შესაბამისად.

მართვის ორგანოებში არჩევისა და დანიშვნის წესი გაწერილია ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის დებულებაში. აკადემიის რექტორს თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს საქართველოს ეკონომიკის და მდგრადი განვითარების მინისტრი. მისი უფლებამოსილება განსაზღვრულია აქ. რექტორი ასევე არის სენატის თავმჯდომარე. ამავე დოკუმენტში წარმოდგენილია სენატის, აკადემიური საბჭოს, მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრის, ფაკულტეტის, ფაკულტეტის საბჭოს, დეკანის, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის და ფოთის ფილიალის შემადგენლობა და სტრუქტურა.

აკადემიაში არჩევნები ტარდება საარჩევნო კომისიის მიერ, რომელიც შედგება არანაკლებ 5 წევრისაგან. არჩევნებს ექვემდებარება დეკანის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის პოზიციები. ამავე დოკუმენტში აღწერილია აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის შერჩევის/დანიშვნის პროცედურები, სტუდენტის უფლებები და მოვალეობები, სტუდენტური თვითმმართველობის

უფლებამოსილებები და შერჩევის პროცედურები, რომლებიც დეტალურად არის აღწერილი მის დებულებაში. სტუდენტური თვითმმართველობის საკითხებთან დაკავშირებული დეტალებისთვის, გთხოვთ, იხილოთ მე- 5 სტანდარტის აღწერილობითი ნაწილი. დებულების ბოლო თავი ეხება აკადემიის ქონებას და საფინანსო-საბიუჯეტო აქტივობებს. საზღვაო აკადემიის რექტორის 2024 წლის 23 თებერვლის ბრძანების შესაბამისად, განსაზღვრულია რექტორის უფლებამოსილების დელეგირების საკითხები და დაქვემდებარების სფეროები. რექტორის, პრორექტორის, ადმინისტრაციის უფროსის, საგანმანათლებლო და სამეცნიერო ცენტრის უფროსის, პროფესიული გადამზადების ცენტრის უფროსის, ფოთის ფილიალის უფროსის - ფოთის საზღვაო სასწავლო ცენტრის, მეზღვაურების და დეკანების სასწავლო, გადამზადების და სერთიფიცირების ცენტრის უფროსის უფლება -მოვალეობები განსაზღვრულია დელეგირების ბრძანების დოკუმენტში. დეკანის არჩევის პროცედურა წარმოდგენილია ცალკე დოკუმენტის სახით, დაწყებული არჩევნების გამოცხადებით და დამთავრებული არჩევნების შედეგების გასაჩივრებით. გასაუბრებების დროს გამოიკითხა აკადემიური და მოწვეული პერსონალი მათი შერჩევის საკითხებთან დაკავშირებით. თითოეულმა მათგანმა დეტალურად და თანმიმდევრულად აღწერა პროცესი, ასევე წერილობითი პროცედურების შესაბამისად მმართველ ორგანოებში კადრების შერჩევის/დანიშვნის პროცედურები. ექსპერტთა ჯგუფმა გამოითხოვა აკადემიური საბჭოს და სენატის სხდომების ბოლო 3 ოქმი, რომელიც აკადემიამ წარმოადგინა თანმხლები დოკუმენტაციით. საზღვაო აკადემიის მიერ შემუშავებული მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმების და შეფასების სისტემის მიხედვით, მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები გამოიყენება მაღალი პოზიციების პირებზე, ადმინისტრაციულ და დამხმარე პერსონალზე და თავად მონიტორინგი ითვალისწინებს დაკვირვებას საზღვაო აკადემიის საქმიანობის მართვაზე და პერსონალის სისტემატურ ინფორმირებას მიღებული შედეგების შესახებ და რეაგირების კონტროლს. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა მონიტორინგის ჯგუფს, სადაც აღინიშნა, რომ აკადემიის მართვის ეფექტიანობის მონიტორინგი ხორციელდება შიდა აუდიტის დასკვნების საფუძველზე. აღნიშნულის საფუძველზე დგება სამოქმედო გეგმა და შესრულების ანგარიში წარედგინება მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრის ხელმძღვანელს. ექსპერტებმა ასევე შეისწავლეს შიდა აუდიტის და შეუსაბამობების მართვის პროცედურები. 2023 წლის ორგანიზაციული მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის შედეგების ანალიზი წარმოდგენილია ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის შედეგების ანგარიშში და სტრატეგიული გეგმის შესრულების მონიტორინგის ანგარიშში. ანალიზი წარმოდგენილია რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლებით, ანალიზი კეთდება გასაუმჯობესებელ სფეროებთან დაკავშირებით, სადაც აღნიშნულია, შიდა აუდიტის საფუძველზე ყველა ერთეულში ხარისხის კულტურის ამაღლების საჭიროება, ხარვეზების აღმოფხვრის მიზნით დროული უკუკავშირი და გაცემული რეკომენდაციების შემდგომი გათვალისწინების გაძლიერება. მოცემული ინფორმაცია ასევე დადასტურდა ექსპერტების მიერ განხორციელებული გასაუბრებების დროსაც. ასევე შემუშავებულია გამოსწორების და გამაფრთხილებელი ქმედებების მართვის პროცედურა.

ბათუმის საზღვაო აკადემიას აქვს რისკის მართვის პროცედურის დოკუმენტი, რომელიც გამოავლენს, აფასებს და რეაგირებს ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის და ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიის ფოთის ფილიალის მიერ გამოვლენილ რისკებზე. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად ხორციელდება რისკების გამოვლენა, შეფასება, შემცირება, გაცნობა და მონიტორინგი. ასევე წარმოდგენილია რისკის შემცირების წლიური გეგმები რისკის კატეგორიების მიხედვით, ფაკულტეტების შესაბამისად. განსაზღვრულია რისკის ალბათობის, გაჩენის და თავად რისკის დონე. როგორც გასაუბრებებისას გაირკვევა, პროგრამის რისკის ანალიზი ტარდება წელიწადში ერთხელ და ის წარმოადგენს ფაკულტეტის რისკის შეფასების ნაწილს. ასეთი რისკების მაგალითები იყო, კოვიდის შემდგომი რისკები, როდესაც სტუდენტებს გაუჭირდათ რეგიონებიდან

აკადემიაში დაბრუნება. ასევე, შეიძლება არსებობდეს რისკები პროფესორების / მასწავლებლების როტაციასთან დაკავშირებით, როდესაც მათ უწევთ ზღვაში გამგზავრება. დამატებით აღინიშნა, რომ რისკებმა შესაძლოა გავლენა იქონიოს სტუდენტების რაოდენობაზეც. ექსპერტებმა შეისწავლეს გასული წლების რისკის ანალიზის დოკუმენტები, სადაც რისკების დინამიკა არ იზრდება და ნორმების ფარგლებშია წარმოდგენილი.

ბათუმის საზღვაო აკადემიის ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია ასევე მოიცავს მის პოლიტიკასაც. ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის მიხედვით, საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი პრინციპები მოიცავს აკადემიის ცნობიერების ამაღლებას, შესაბამისობას ეროვნულ და საერთაშორისო რეგულაციებთან, განათლების ინტერნაციონალიზაციას, საზღვაო სფეროში საერთაშორისო პარტნიორებთან კავშირების გაძლიერებას. სწავლა / სწავლების გაუმჯობესების მიზნით აქცენტი კეთდება აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების საერთაშორისო მობილობაზე, საერთაშორისო კომუნიკაციასა და პარტნიორულ ურთიერთობაზე, საერთაშორისო სტუდენტების, ლექტორებისა და მკვლევრების მხარდაჭერაზე, თუმცა ეს უკანასკნელი გარკვეულ პრობლემებს ქმნის საერთაშორისო სტუდენტებთან მიმართებაში, რომლებიც აპირებენ დაამთავრონ ბათუმის საზღვაო აკადემია, რადგან საზღვაო სააგენტოს რეგულაციების მიხედვით, საერთაშორისო სტუდენტებს ვერ გადაეცემათ სამუშაო დიპლომი. შესაბამისად, უცხოელი სტუდენტები იშვიათად ირჩევენ ბათუმის საზღვაო აკადემიას. აღნიშნულის გამო, მიმდინარე ეტაპზე, ბათუმის საზღვაო აკადემიაში სწავლობს მხოლოდ 3 უცხოელი სტუდენტი (2 უკრაინიდან და 1 რუსეთიდან). ექსპერტები ვარაუდობენ, რომ შესაძლოა სწორედ აღნიშნული არის იმის მიზეზი, რომ აკადემია მრავალი წელია გამოხატავს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების სურვილს, თუმცა ამ მიმართულებით არ გადადგმულა ნაბიჯები. მიუხედავად ამისა, უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამების შემუშავებაში მონაწილეობდა 2 უცხოელი ექსპერტი.

ბათუმის საზღვაო აკადემია ცდილობს ხელი შეუწყოს პერსონალის ჩართულობას საერთაშორისო პროექტებსა და პროგრამებში. აკადემია ჩართულია საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის (IAMU) მიერ განხორციელებულ კონფერენციებში, გასულ წელს ბათუმის საზღვაო აკადემიამ უმასპინძლა ერთ- ერთ ასეთ კონფერენციას. აკადემიამ შეიმუშავა და ახორციელებს საგრანტო პროექტებს, გააფორმა სხვადასხვა მემორანდუმი უცხოურ უნივერსიტეტებთან. გასაუბრებების დროს, სტუდენტებმა და პერსონალმა განაცხადეს, რომ მიღებული ჰქონდათ მონაწილეობა საერთაშორისო მობილობაში. აღნიშნული ასევე დასტურდება მათი გამოკითხვის შედეგებით. ინტერნაციონალიზაციის კომპონენტის შეფასება ხდება ქულების მიხედვით და განსაზღვრავს პერსონალის საქმიანობის ეფექტურობას. რაც შეეხება უცხოელი პროფესორების მოწვევას სასწავლო კურსებზე, გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ საზღვაო აკადემიას ჯერ არ ჰქონია მსგავსი პრაქტიკა, გამომდინარე იქიდან, რომ დაწესებულება ახორციელებს მხოლოდ ქართულენოვან პროგრამებს, თუმცა ზოგჯერ ხდება უცხოელი პროფესორების მოწვევა საჯარო ლექციების წასაკითხად.

ბათუმის საზღვაო აკადემია აწარმოებს საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრს, როგორც ეს აღწერილია მოქმედ კანონმდებლობაში. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს გაირკვა, რომ აღნიშნულ დრომდე სერვისების განვითარების სააგენტო არ იყო ინფორმირებული სტატუს შეჩერებული საერთაშორისო სტუდენტების შესახებ. 2023 წლის აგვისტოს შემდეგ დაწესებულების მხოლოდ ერთ სტუდენტს ჰქონდა შეჩერებული სტატუსი და დაწესებულებამ აღნიშნული პროცედურის განხორციელება დაიწყო ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტის დროს. დაწესებულებაში მიმდინარე ყველა ძირითადი პროცესის ბიზნეს უწყვეტობის უზრუნველსაყოფად, უსდ-ს შემუშავებული აქვს გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს დაწესებულებაში მიმდინარე ყველა ძირითადი ბიზნეს პროცესის უწყვეტობას. გეგმა

ითვალისწინებს ყველა შესაძლო რისკს, მათი პრევენციის მექანიზმს და იმ შემთხვევაში თუ პრევენცია არ არის შესაძლებელი, უსდ - ს შემუშავებული აქვს რისკის შემცირების სტრატეგია.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- ორგანიზაციული სტრუქტურა;
- სტრუქტურული ერთეულების ფუნქციების აღწერილობა;
- დებულება;
- ნორმატიული აქტები;
- მთავარი საგანმანათლებლო ერთეულების დებულებება;
- სენატის დებულება;
- აკადემიური საბჭოს დებულება;
- რექტორის დანიშვნის ბრძანება;
- დელეგირების ბრძანება;
- დამტკიცებული საშტატო სია;
- პროცედურა;
- რეესტრის წარმოებაზე პასუხისმგებელი პირები;
- დეკანის არჩევის პროცედურა;
- საქმისწარმოების პროცედურა
- აკადემიური საბჭოს და სენატის ბოლო 3 წლის ანგარიშები;
- მართვის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემა;
- ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის შედეგების ანგარიში;
- გამოსასწორებელი და გამაფრთხილებელი ღონისძიებების მართვის პროცედურა;
- რისკების მართვის პროცედურა;
- ფაკულტეტების რისკების შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია;
- ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა;
- ინტერნაციონალიზაციის სტრატეგია;
- გამოკითხვის შედეგები;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, ეფექტური შედეგების მიღწევის მიზნით, სტრუქტურულმა ერთეულებმა იმუშაონ უფრო მკაფიოდ და უზრუნველყონ ერთმანეთთან კოორდინაცია.

რჩევები:

- სასურველია, უცხოურ უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის ფარგლებში შემუშავდეს ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამები.

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები
○ უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას. ○ უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.
საზღვაო აკადემიის ხარისხის უზრუნველყოფის სისტემა ეფუძნება გარე მარეგულირებელ ჩარჩოს - უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონს, საქართველოს კანონს განათლების ხარისხის განვითარების შესახებ, აკრედიტაციისა და ავტორიზაციის სტანდარტებს, უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს და სახელმძღვანელო პრინციპებს (ESG), ISO 9001 : 2015, საქართველოს კანონს მეზღვაურთა განათლების და სერტიფიცირების შესახებ, საქართველოს კანონს პროფესიული განათლების შესახებ და საზღვაო აკადემიის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტაციას. შესაბამისად, აკადემიაში ხარისხის უზრუნველყოფის განხორციელების პროცესებში ჩართულია როგორც ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ასევე მართვისა და განვითარების სისტემების ცენტრი, რაც უზრუნველყოფს აკადემიაში სწავლების ხარისხს სწავლის, სწავლებისა და შეფასების კუთხით; აღნიშნული ცენტრი განსაზღვრავს ხარისხის კონტროლის კრიტერიუმებს და მათი გამოყენების მეთოდოლოგიას, რომლითაც ხელმძღვანელობს განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ISO სტანდარტებთან შესაბამისობის სამსახური, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური; შეიმუშავებს შიდა და გარე შეფასების პროცედურებს, რომლებიც მიზნად ისახავენ აკადემიის სწავლებისა და მართვის ხარისხის ამაღლებას. ხარისხის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, აკადემია ცდილობს შეიმუშაოს და განახორციელოს შესაბამისი სასწავლო პროგრამები საზღვაო მიმართულებით ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე, განახორციელოს ინოვაციური კვლევები და უზრუნველყოს საზოგადოების ჩართულობა აღნიშნულ პროცესში. გასაუბრებების შედეგად დადგინდა, რომ პროგრამები მოთხოვნადია და დაწესებულება ცდილობს პროგრამებში დანერგოს სხვადასხვა სიახლე. მაგალითად, დაწესებულება აქტიურად თანამშრომლობს ტექნოპარკთან, ავითარებს რობოტიკის ლაბორატორიას, მექატრონიკის კურსისთვის შეძენილია Festo და Arduino - ს მოწყობილობები და საგანმანათლებლო კურსებში გათვალისწინებულია შესაბამისი თემები. აკადემიაში ფუნქციონირებს ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმები. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტი განსაზღვრავს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების დანიშნულებას, მათი გამოყენების სფეროს, პასუხისმგებელ პირებს, შიდა და გარე ხარისხის შეფასებას. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები იყოფა სამ ძირითად მიმართულებად: სწავლება - სწავლა და მომსახურება (საგანმანათლებლო პროგრამები (ბაკალავრიატი, მაგისტრატურა, პროფესიული), საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში ჩართული პერსონალი და საგანმანათლებლო პროცესი); კვლევა - კვლევითი საქმიანობის შეფასება და ანალიზი, აკადემიური / სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობა; მართვის პროცესები - ორგანიზაციის მართვის პროცესების შეფასება. ასევე აღწერილია, თუ როგორ დგება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წლიური ანგარიში და როგორ გამოიყენება შედეგები. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურები განსაზღვრულია ცალკე დოკუმენტის სახით. როგორც სხვადასხვა ჯგუფთან გასაუბრებების შედეგად დადგინდა, ხარისხის სამსახური ატარებს სტუდენტების, პერსონალის, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა სახის გამოკითხვებს და აანალიზებს გამოკითხვის შედეგებს, რომლის მიხედვითაც აკადემია ახორციელებს შესაბამის აქტივობებს.

კერძოდ, გამოკითხვების ანალიზის შედეგად დაწესებულებაში გაკეთდა კაფეტერია, სტუდენტური სივრე და შეძენილ იქნა სახელმძღვანელოები.

საქმისწარმოების პროცედურის მიხედვით განსაზღვრულია ხარისხის მართვის სისტემის საქმისწარმოების წესები. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული დოკუმენტები შემუშავებულია, აკადემიური პერსონალი არ ფლობს ინფორმაციას მათ შესახებ. გასაუბრებების დროს გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულისთვის, როგორიც არის სტუდენტური თვითმმართველობა, არ იყო ცნობილი ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის არ იყო ცნობილი საერთაშორისო სტუდენტებისთვის დადგენილი გარკვეული წესები. მაგალითად, თუ როგორ უნდა მოქცეულიყვნენ იმ შემთხვევაში თუ საერთაშორისო სტუდენტები არ დაესწრებოდნენ ლექციებს. თუმცა, შეუსაბამობის მართვის პროცედურა, მკაფიოდ ასახავს ასეთ შემთხვევებში პრევენციის, მოქმედების და გამოსწორების ზომებს.

აკადემიას შემუშავებული აქვს შიდა აუდიტის პროცედურა. გასაუბრებების შედეგად დგინდება, რომ ხარისხის მენეჯმენტის ეფექტიანობის მონიტორინგი ხორციელდება შიდა აუდიტის დასკვნების საფუძველზე, რომლის მიხედვითაც ხორციელდება სამოქმედო გეგმის შემუშავება და ანგარიშის წარდგენა. ხარისხის მართვის სისტემის ეფექტურობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია ინახება საქმისწარმოების პროცედურების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამების, მართვის პროცესებისა და ინფრასტრუქტურის შეფასების მიზნით აკადემია იყენებს მომსახურების მონიტორინგს, რომლის დროსაც აფასებს საგანმანათლებლო პროგრამების და სასწავლო კურსის სილაბუსებს, მოკლევადიან სასწავლო კურსებს, აკადემიური პერსონალის აქტივობებს, სასწავლო გარემოს, სტუდენტების სწავლის შედეგებს. ასევე, კურსდამთავრებულთა დასაქმების დინამიკას, განისაზღვრება დამსაქმებელთა კმაყოფილება და სასწავლო პროცესის ორგანიზების ხარისხი. გასაუბრებების დროს დადასტურდა ყველა აღნიშნული პროცესის განხორციელების რეალურობა და დაწესებულებამ წარმოადგინა ხარისხის მართვის სისტემის 2020 - 2023 წლების ანალიზის შედეგები, სადაც წარმოდგენილია ხარისხის უზრუნველყოფის საკითხების დეტალური ანალიზი.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიას შემუშავებული აქვს სტუდენტების რაოდენობის განსაზღვრის წესის კრიტერიუმები, სამიზნე ნიშნულები და სტუდენტთა რაოდენობის დამტკიცების წესი. აღნიშნული დოკუმენტის მიხედვით, პროგრამის პერსონალის თანაფარდობა სტუდენტებთან არის 1/20 და 1/30 სრულ განაკვეთზე. ასევე, დადგენილია მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსების თანაფარდობა.

ბათუმის საზღვაო აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების, სწავლა / სწავლების პროცესების, პერსონალის, სასწავლო მასალის და ტექნიკური ბაზის შეფასება ხორციელდება სისტემატურად და თანმიმდევრულად. მათი მუდმივი გაუმჯობესების ეფექტური გამოყენებისა და ხელშეწყობის მიზნით, ყოველ სემესტრში, გრაფიკის მიხედვით ტარდება ხარისხის უზრუნველყოფის კვლევები. შეფასებას ექვემდებარება ბათუმის საზღვაო აკადემიის ყველა სტრუქტურული მიმართულება, შიდა და გარე დაინტერესებული მხარეები. დაწესებულებამ შეიმუშავა პერსონალის საქმიანობის შესრულების შეფასების სისტემა (აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული, ადმინისტრაციული, დამხმარე). ისინი პერიოდულად აფასებენ მომსახურებისა და რესურსების ხარისხს. შეფასების შედეგები გამოიყენება მათი შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- ხარისხის პოლიტიკა;
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები;
- ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და შეფასების შედეგების გამოყენების პროცედურა;

- კითხვარები და კმაყოფილების კვლევა;
- საქმისწარმოების მართვის პროცედურა;
- შეუსაბამობის მართვის პროცედურა;
- შიდა აუდიტის პროცედურა;
- სერვისის მონიტორინგის პროცესის პროცედურა;
- ხარისხის მართვის სისტემის ანალიზის შედეგების ანგარიშები;
- სტუდენტთა რაოდენობის განსაზღვრის წესი;
- გასაუბრებების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, გაიზარდოს პერსონალის ინფორმირებულობა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებთან დაკავშირებით.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- უსდ - ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვასთან დაკავშირებით, ბათუმის საზღვაო აკადემიამ შეიმუშავა სხვადასხვა ნორმატიული აქტი, მათ შორის ეთიკისა და კეთილსინდისიერების დაცვის საკითხები გათვალისწინებულია აკადემიის დებულებებში და შინაგანაწესში. გარდა ამისა, შემუშავებულია ეთიკის კოდექსი, რომელშიც აღწერილია ეთიკის კოდექსის მიზნები და ამოცანები, ეთიკური სტანდარტები, ღირებულებები და ნორმები, სტუდენტებისა და პერსონალის ეთიკური ნორმები, წესები, პრინციპები და პასუხისმგებლობა. გასაუბრების დროს საუბარი შეეხეო, ეთიკის ნორმების დარღვევის შემთხვევაში რეაგირების პროცედურებს. აკადემიაში ფუნქციონირებს ეთიკის კომისია, კომისიის გადაწყვეტილებები დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში ეცნობება აკადემიურ საბჭოს. ასევე აღინიშნა, რომ აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებულ

საკითხებს განიხილავს აკადემიური საბჭო. მაგალითად, სამაგისტრო ნაშრომების პლაგიატთან დაკავშირებით. დებულება დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ პუნქტობრივად აღწერს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მიმართ დისციპლინური გამოძიების დაწყების, პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხებს, პასუხისმეგბლობის ფორმებს, გასაჩივრების წესს. დაწესებულების აკადემიური და მოწვეული პერსონალის მიმართ ჩატარებული დისციპლინური გამოძიების შემთხვევაში, იურიდიული დეპარტამენტის მიერ ჩატარებული დისციპლინური გამოძიების და შესაბამისი დასკვნის საფუძველზე, რექტორი ქმნის მუდმივ კომისიას, რომელიც შედგება თავმჯდომარისა და წევრებისაგან. როგორც აკადემიური პერსონალ, ისე სტუდენტებ ფლობენ ინფორმაციას პლაგიატთან დაკავშირებული რეგულაციების შესახებ, მათ შორის პლაგიატზე რეაგირების მექანიზმებთან დაკავშირებით. პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესი განსაზღვრავს პლაგიატის ფორმებს, პრევენციის ზომებს, გამოვლენისა და რეაგირების მექანიზმებს. პლაგიატის გამოსავლენად აკადემია იყენებს პროგრამა Turnitin-ს. მისი გამოყენებით, პლაგიატის დასაშვები პროცენტი სამაგისტრო ნაშრომების შემოწმებისას განსაზღვრული არის 30% - ით. პლაგიატის პრევენციისა და რეაგირების წესის მიხედვით, პლაგიატის აღნიშნული რაოდენობა მისაღებია, დამოკიდებულია მის ფორმაზე. გასაუბრებისას აღინიშნა, რომ საგამოცდო ცენტრში მიმდინარეობს ელექტრონული სისტემის დანერგვის პროცესი, რის შემდეგაც პლაგიატის სისტემა გამართულად იმუშავებს. აკადემიამ ასევე შეიმუშავა პლაგიატთან ბრძოლის და აკადემიური კეთილსინდისიერების დადგენის პოლიტიკა, სადაც აღნიშნულია, რომ პლაგიატის და აკადემიური კეთილსინდისიერების წესები გამოყენებული უნდა იყოს სამეცნიერო - კვლევითი, საბაკალავრო სადიპლომო, სამაგისტრო ნაშრომის, საკურსო პროექტებისა და სხვა სახის სამუშაოს შესრულებისას და წარდგენისას.
მტკიცებულელები/ინდიკატორები – ეთიკის კოდექსი; – წესდება; – ნორმატიული აქტები; – დისციპლინური პასუხისმგებლობის დებულება; – პლაგიატის პრევენციის და რეაგირების წესი; – გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ - ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება
უსდ - ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა.
იმისათვის, რომ შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა და განახორციელოს ბაზარზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის თანამედროვე საგანმანათლებლო პროგრამები, აკადემია რეგულარულ რეჟიმში ანახლებს და აუმჯობესებს პროგრამებს. პროგრამის მიზნები და სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. აკადემიას შემუშავებული აქვს სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტი „საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების და განვითარების წესი“, რომელიც მოიცავს ამომწურავ პროცედურებს პროგრამის შექმნიდან მის შეფასებამდე. წესი შეესაბამება ეროვნულ კანონმდებლობას და აკრედიტაციის სტანდარტებს. აკადემიაში საგანმანათლებლო პროგრამების მომზადება მოიცავს ინტერაქტიულ და თანამშრომლობით პროცესს. განიხილება შემდეგი საკითხები: შრომის ბაზრის მოთხოვნები, საერთაშორისო პრაქტიკა და ა.შ. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, აკადემიას აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულია ყველა დაინტერესებული მხარის მონაწილეობა. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და განვითარება აქტიური პროცესია; დამსაქმებლები მონაწილეობენ პროგრამის განვითარებაში იმისათვის, რომ უზრუნველყონ პროგრამის შესაბამისობა საგანმანათლებლო სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოთხოვნებთან. წესის თანახმად, პროგრამის შემუშავების პროცესში უნდა მონაწილეობდეს ყველა დაინტერესებული მხარე, მათ შორის დარგის წარმომადგენლები, დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები და სტუდენტები. ბსსა ინარჩუნებს დაინტერესებულ მხარეებთან, განსაკუთრებით კურსდამთავრებულებთან და დამსაქმებლებთან მჭიდრო კონტაქტს, რაც დადასტურდა ადგილზე ვიზიტის და გასაუბრების დროს. დამსაქმებლებთან აქტიური თანამშრომლობა გამოიყენება პროგრამის განვითარების და ჩამოყალიბების პროცესში.

შეგროვებული უკუკავშირი და ანალიზი ასევე წარმოადგენს პროგრამის შემუშავების და განხორციელების საფუძველს.

მიმდინარე ეტაპზე საზღვაო აკადემია ახორციელებს საბაკალავრო და სამაგიტრო საგანმანათლებლო პროგრამებს, მათ შორის 8 საბაკალავრო და 3 სამაგისტრო პროგრამას. აკადემია ასევე ახორციელებს ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას.

ბსსა - მ 2018 წლიდან გააუქმა 6 საგანმანათლებლო პროგრამა და 2024 წლის დეკემბრამდე იგეგმება "ფინანსების და დაზღვევის" მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმება. გაუქმების ძირითად მიზეზს წარმოადგენდა სტუდენტების რაოდენობის შემცირება.

რეკომენდებულია, საერთაშორისო მიდგომების გამოყენება საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და პროგრამის შემუშავებამდე და განხორციელებამდე ჩატარდეს არსებული შრომის ბაზრის დეტალური კვლევა / მიზანშეწონილობის შესწავლა, იმისათვის რომ, საფუძვლიანად იყოს გაანალიზებული ახალი პროგრამის შესაბამისობა და განისაზღვროს პროგრამის განხორციელების და მიწოდების შესაბამისი რისკები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მეტ მდგრადობას.

პროგრამის შემუშავების და განხორციელების პროცედურის მიხედვით, ფაკულტეტი პირველ ეტაპზე ახორციელებს პროგრამის გადახედვას და შემდგომ დადასტურების მიზნით წარუდგენს აკადემიურ საბჭოს. ბსსა ცდილობს დარგის მიმდინარე მოთხოვნების და ტექნოლოგიური განვითარების შესაბამისად განახორციელოს პროგრამების მოდიფიცირება, რაც აისახება ახალი სიმულატორების, ლაბორატორიების მოწყობით და ლიტერატურის გათვალისწინებით. ბსსა - ს შემუშავებული აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დამტკიცების, მოდიფიცირების და გაუქმების ძირითადი პროცესები და მექანიზმები. პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, აკადემია იღებს ყველა სათანადო ზომას, იმისათვის, რომ უზრუნველყოს სტუდენტების გადაყვანა სხვა შესაფერის პროგრამაზე და დახმარებას უწევს მათ მობილობის პროცესებში.

მუდმივად ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგი და ეფექტიანობის შეფასება. სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების უკუკავშირი გამოყენებულია პროგრამების მუდმივი გაუმჯობესების მიზნით. აღნიშნული პროცესის განმავლობაში, მნიშვნელოვანია დაინტერესებულ მხარეებს შორის კომუნიკაცია და თანამშრომლობა იმისათვის, რომ საგანმანათლებლო პროგრამებმა სათანადოდ მოამზადონ სტუდენტები საზღვაო ინდუსტრიის კარიერისათვის და უზრუნველყონ მათი შესაბამისობა ინდუსტრიის საჭიროებებთან და სტანდარტებთან.

ჩვეულებრივ, საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებისას მნიშვნელოვანია კვლევის ანალიზის შედეგების გათვალისწინება, რომელშიც მონაწილეობს სხვადასხვა დაინტერესებული მხარე, კერძოდ, სტუდენტები, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა შესაბამისი მხარეები. წარმოგიდგენთ თუ რატომ არის მნიშვნელოვანი თითოეული ჯგუფის წვლილი:

სტუდენტები: მათ შეუძლიათ წარმოადგინონ ხედვები იმის შესახებ, თუ პროგრამის რომელი ასპექტებია ეფექტური, რა შეიძლება გაუმჯობესდეს და რომელი ახალი სფეროები ან უნარები უნდა

იყოს გათვალისწინებული პროგრამაში, იმისათვის რომ, პროგრამა უკეთ შეესაბამებოდეს მიმდინარე და სამომავლო საჭიროებებს.

კურსდამთავრებულები: ისინი წარმოადგენენ მნიშვნელოვან უკუკავშირს იმის თაობაზე, თუ რამდენად კარგად იყვნენ მომზადებულები კარიერისთვის პროგრამის ფარგლებში და ყველაზე მეტად რომელი უნარები გამოადგათ პროფესიულ ცხოვრებაში. კურსდამთავრებულთა ხედვები ხელს უწყობს პროგრამის შესაბამისობას რეალური სამყაროს მოთხოვნებთან.

დამსაქმებლები: დამსაქმებლების უკუკავშირი აუცილებელია იმისთვის, რომ კურსდამთავრებულები ფლობდნენ შრომის ბაზრისთვის საჭირო ცოდნას და უნარებს. აღნიშნული ხელს უწყობს პროგრამის შესაბამისობას ინდუსტრიის საჭიროებებთან და კურსდამთავრებულთა დასაქმების გაუმჯობესებას.

აკადემია ადასტურებს, რომ დამსაქმებლები აქტიურად მონაწილეობენ პროგრამის შემუშავებაში. თუმცა, როგორც აკადემიის წარმომადგენლებთან და დამსაქმებლებთან გასაუბრებისას დადგინდა, პროგრამის შემუშავებაში დამსაქმებლების ჩართულობა უფრო მეტად არაფორმალურია.

რეკომენდებულია, გაძლიერდეს კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შეფასებაში იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებსაც აქვთ კურსდამთავრებულების დასაქმების დაბალი მაჩვენებლები.

აკადემიის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ერთ-ერთ მთავარ მიგნებას წარმოადგენდა ინგლისური ენის ცოდნის გაძლიერების საჭიროება. აღნიშნული იმაზე მეტყველებს, რომ ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება გადამწყვეტია აკადემიის მიზნებისთვის. აღნიშნული საკითხის გადასაჭრელად, აკადემიამ პრიორიტეტი უნდა მიანიჭოს მიმდინარე ძალისხმევას მისი სტუდენტების ინგლისური ენის ცოდნის გასაუმჯობესებლად და შესანარჩუნებლად. აღნიშნული შეიძლება მოიცავდეს რეგულარულ ენის სასწავლო კურსებს, ინგლისურენოვანი კომუნიკაციის წახალისებას სხვადასხვა კონტექსტში და ისეთი რესურსების მიწოდებას, როგორიც არის ენის კურსები ან მასალები. ამით აკადემია შეძლებს ეფექტურად მიაღწიოს დასახულ მიზნებს და საჭიროებისამებრ მოერგოს გლობალურ საკომუნიკაციო სტანდარტებს.

რეკომენდებულია, საზღვაო ინჟინერიის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტებისთვის შემუშავდეს მექანიმზები ინგლისური ენის ცოდნის დონის ამაღლების მიზნით.

აკადემიას შემუშავებული აქვს სპეციალური წესი საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილების განხორციელების / გაუქმების შესახებ. დაწესებულება ითვალისწინებს სტუდენტების კანონიერ ინტერესებს და აძლევს სტუდენტებს შესაძლებლობას შეუფერხებლად დაასრულონ საგანმანათლებლო პროგრამა ან განახორციელონ მობილობა სხვა პროგრამაზე.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი;
- კმაყოფილების კვლევები;
- ვიზიტის დროს განხორციელებული ინტერვიუები;
- თვითშეფასების ანგარიში.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია შემუშავდეს მექანიზმები ტექნიკური განათლების პროგრამებში (საზღვაო ინჟინერია და საზღვაო ელექტროინჟინერია) სტუდენტებს შორის ინგლისური ენის ცოდნის დონის ასამაღლებლად.

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს კურსდამთავრებულების ჩართულობა პროგრამის შეფასებაში იმ საგანმანათლებლო პროგრამებისთვის, რომლებსაც აქვთ კურსდამთავრებულების დასაქმების დაბალი მაჩვენებლები.
- რეკომენდებულია, **საერთაშორისო მიდგომების გამოყენება საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და** პროგრამის შემუშავებამდე და განხორციელებამდე ჩატარდეს არსებული შრომის ბაზრის დეტალური კვლევა / მიზანშეწონილობის შესწავლა, იმისათვის რომ, საფუძვლიანად იყოს გაანალიზებული ახალი პროგრამის შესაბამისობა და განისაზღვროს პროგრამის განხორციელების და მიწოდების შესაბამისი რისკები, რაც უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების მეტ მდგრადობას.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ბსსა ითვალისწინებს მოქმედ კანონმდებლობას და კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მოთხოვნებს. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამები საჭიროებს 240 (ECTS) კრედიტის დაგროვებას და 120 ECTS კრედიტი გათვალისწინებულია სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებისთვის. სამაგისტრო პროგრამები ითვალისწინებს კვლევით კომპონენტებს, რომლებიც მოიცავენ 30 ECTS კრედიტს. სტუდენტების დაშვებული დატვირთვა მოიცავს კვირაში 41 საათს, გამონაკლის შემთხვევებში შეიძლება გაიზარდოს 45 საათამდე, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს ყოველწლიურად დააგროვოს 60 ECTS კრედიტი.

პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება ეფუძნება საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ჩამოყალიბების და შეფასების წესს, რომელიც ითვალისწინებს უმაღლესი განათლების და ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს ყველა კრიტერიუმს. თითოეული სწავლის შედეგი განისაზღვრება ცოდნისა და გაცნობიერების, უნარების, პასუხისმგებლობისა და ავტონომიის დონეზე. სწავლის შედეგები გამომდინარეობს პროგრამის მისიიდან და ასახავს იმ შედეგებს, რომლებიც მიღწეული უნდა იყოს პროგრამის დასრულების შემდეგ.

შესაბამისად, თითოეული სწავლის შედეგისთვის განსაზღვრულია შესაბამისი სასწავლო კურსები, რაც ხელს შეუწყობს მათ მიღწევას სხვადასხვა დონეზე. თითოეულ პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც ასახავს ნათელ სურათს პროგრამის მიზნების სწავლის შედეგებთან და სასწავლო კურსებთან შესაბამისობის შესახებ.

პროგრამები შემუშავებულია ეროვნული ჩარჩო დოკუმენტების შესაბამისად, რომლებიც გათვალისწინებულია სწავლის შედეგების ფორმირების პროცესში. ისინი კარგად არის განსაზღვრული და შეესაბამება დარგის სპეციფიკას და ძირითად ეროვნულ თუ საერთაშორისო მოთხოვნებს.

თითოეული პროგრამა ითვალისწინებს არასავალდებულო კომპონენტებს, რომლის არჩევაც შეუძლია სტუდენტს. შეთავაზებული არჩევითი კომპონენტები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან და მიმართულებასთან.

საგანმანათლებლო პროგრამებისთვის გამოყენებული სწავლებისა და სწავლის მეთოდები შეიძლება განსხვავდებოდეს, როგორიც არის ლექციები, სემინარები, ლაბორატორიები მეცადინეობები, სამუშაო შეხვედრები, ჯგუფური მუშაობა, სიმულატორებზე მუშაობა და ა.შ., რაც ასახავს პროგრამების სპეციფიკურ ხასიათს. პრაქტიკული კომპონენტების გამოყენება განსაკუთრებით მნიშვენლოვანია საზღვაო პროგრამებისთვის.
ამისათვის ბსსა - ს განკარგულებაშია ძალიან კარგი ინფრასტრუქტურა, მათ შორის ლაბორატორიები, სასწავლო აუზი და თანამედროვე სიმულატორები. საგანმანათლებლო პროგრამებში სავალდებულოა ღირებული ინტეგრაცია, მაგრამ ეს ასევე მოითხოვს სტუდენტების მხრიდან ინტენსიური თვით გამოყენების მაღალ მაჩვენებელს. ამიტომ ლექტორებმა უნდა იზრუნონ, რომ სტუდენტებს მისცენ შესაფერისი დავალებები და დრო აღნიშნული დავალებების დამოუკიდებლად შესასრულებლად. ასე რომ, კარგი ცოდნა და სიმულატორის გამოყენების საკმარისი დრო წარმოადგენს სტუდენტების წინაპირობას იმისათვის, რომ სტუდენტებმა დამოუკიდებლად აკონტროლონ პრობლემის გადაჭრის და გადაწყვეტილების მიღების პროცესი.
როგორც გასაუბრებების დროს აღინიშნა, აუცილებელია ლექციებზე დასწრების მინიმუმ 50 %, იმისათვის რომ სტუდენტმა შეძლოს დასკვნით გამოცდაზე გასვლა.

ბსსა - ს თითოეული პროგრამისთვის შემუშავებული აქვს პროგრამის კატალოგი, რომელიც ითვალისწინებს ყველა მოთხოვნილ და საჭირო ინფორმაციას პროგრამის შესახებ და აღნიშნული კატალოგი ხელმისაწვდომია დაწესებულების ვებგვერდზე. პროგრამების უმეტესობა ხორციელდება ბათუმში, ხოლო ფოთის ფილიალში ხორციელდება მხოლოდ ერთი საბაკალავრო პროგრამა "ფინანსები და დაზღვევა", როგორც ეს აღინიშნა გასაუბრების დროს. თუმცა, წარმოდგენილ თვითშეფასების ანგარიშში მითითებულია, რომ ფოთის ფილიალში ასევე ხორციელდება "ეკონომიკის" პროგრამა, თუმცა ვებგვერდზე ატვირთულ პროგრამის კატალოგებში

მოცემულია საპირისპირო ინფორმაცია და მითითებული არის რომ ორივე პროგრამა ხორციელდება ბათუმში. ამან შეიძლება გამოიწვიოს გაუგებრობა სტუდენტებსდა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ბსსა - ს აქვს ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამების გამოყენების მექანიზმი. საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების წესი მოიცავს სპეციალურ თავს, რომელიც არეგულირებს სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის ინდივიდუალური სასწავლო პროგრამების შექმნას. რეგულაციები ითვალისწინებს სამუშაო დატვირთვას, სპეციალური გარემოს არსებობის მოთხოვნებს და ადამიანურ რესურსებს. ბსსა - ს აქვს აუცილებელი ადაპტირებადი გარემო სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის.
მტკიცებულელები/ინდიკატორები – საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები; – აკადემიური კალენდარი; – აკადემიური პროგრამების მოკლე აღწერილობა (კატალოგი); – საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბება და შეფასება; – საზღვაო პრაქტიკის განხორციელების წესი; – კმაყოფილების კვლევები; – ბსსა - ს ვებგვერდი; – თვითშეფასების ანგარიში; – გასაუბრებები ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, დაწესებულებამ კატალოგებში და ყველა დაკავშირებულ დოკუმენტში ასახოს პროგრამების შესახებ მკაფიო და სწორი ინფორმაცია და უზრუნველყოს პერსონალის უფრო აქტიური ჩართულობა პროგრამის განხორციელების პროცესში. •
რჩევები: • სასურველია, უფრო ინტენსიურად და ეფექტურად იყოს გამოყენებული არსებული ძალიან კარგი ინფრასტრუქტურა (ე.წ სიმულატორები).
საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.3	სწავლის შედეგების შეფასება

უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

სტუდენტების სწავლის შედეგების დონის შეფასების მიზანია სტუდენტების სწავლის შედეგების შესაბამისობის დადგენა საგანმანათლებლო პროგრამების მიზნებთან და აკადემიის მისიის ერთ-ერთ კომპონენტთან - მოამზადოს მაღალკვალიფიციური და კომპეტენტური სპეციალისტები.

სწავლის შედეგები განსაზღვრავს, თუ რა უნდა იცოდეს სტუდენტმა, რა უნდა გაიგოს და რისი გაკეთება უნდა შეეძლოს მას ამ ცოდნის გამოყენებით სასწავლო პროცესის ან მისი რომელიმე ეტაპის დასრულების შემდეგ.

სწავლის შედეგების ანალიზისა და გაუმჯობესების პროცესში აკადემიური პერსონალის ჩართულობის გასაძლიერებლად აუცილებელია თანამშრომლობითი და სტრუქტურირებული მიდგომის გამოყენება.

სწავლის შედეგების მკაფიო და დეტალური ანალიზი:

დარწმუნდით, რომ სწავლის შედეგები მკაფიოდ განსაზღვრული და გაზომვადია. გამოიყენეთ კონკრეტული კრიტერიუმები და ინდიკატორები იმის შესაფასებლად, მიიღწევა თუ არა ეს შედეგები.

განახორციელეთ სწავლის შედეგების რეგულარული შეფასებები მათი მიღწევების შესახებ მონაცემების შესაგროვებლად.

გამოიყენეთ სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და აკადემიური პერსონალის უკუკავშირი სწავლის შედეგების სიცხადისა და შესაბამისობის გასაუმჯობესებლად.

უწყვეტი გაუმჯობესების პროცესი:

ჩამოაყალიბეთ სტრუქტურირებული პროცესი სწავლის შედეგების რეგულარული განხილვისა და განახლებისთვის, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის უკუკავშირისა და შეხედულებების დანერგვით.

აკონტროლეთ დარგში მიმდინარე ტენდენციები, რათა დარწმუნდეთ, რომ სწავლის შედეგები რელევანტურია და შეესაბამება ბაზრის მოთხოვნებს.

გაითვალისწინეთ დარგობრივი მახასიათებლები საუკეთესო პრაქტიკის თვალსაზრისით აკადემიასა და დარგში, და დაადგინეთ გაუმჯობესების სფეროები.

ამ სფეროებზე ფოკუსირებით აკადემიას შეუძლია გააძლიეროს თავისი საგანმანათლებლო პროგრამები, გააძლიეროს სტუდენტების სწავლის გამოცდილება და შეინარჩუნოს კონკურენტუნარიანობა თანამედროვე საგანმანათლებლო სფეროში.

სწავლის შედეგების შეფასება ტარდება ბსსა- ს სპეციალური მარეგულირებელი დოკუმენტის - „საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების ფორმირება და შეფასება“ - საფუძველზე. წესში ნათლად არის განსაზღვრული ის მეთოდები, რომლებიც სწავლის შედეგების შეფასების პროცესში გამოიყენება: ეს შეიძლება იყოს პირდაპირი მეთოდები, როგორიცაა გამოცდები, ტესტები და ნაშრომი, ან არაპირდაპირი მეთოდები, როგორიცაა სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლებისგან მიღებული შეფასება. წესი ითვალისწინებს სწავლის შედეგების გეგმის მომზადებას, სადაც მოცემულია სწავლის შედეგები, ვადები და შესაბამისი სასწავლო კურსები. სწავლის შედეგების შესაფასებლად უნდა განისაზღვროს სამიზნე ნიშნულები, რომლებიც დაადგენს მოსალოდნელ, სასურველ შედეგებს. ასევე დადგენილია სამიზნე ნიშნულებიდან გადახრის დონე და თუ გადახრის დონე მაღალია, მაშინ საჭიროა სწავლის შედეგების გადახედვა და შესაბამისი ზომების გატარება.

შეფასების შედეგების ანალიზის მიზნით ბსსა ამზადებს ანგარიშს პროგრამის სწავლის შედეგებზე. როგორც წესი, შედეგების მონიტორინგი ტარდება ყოველ 5 წელიწადში ერთხელ საბაკალავრო პროგრამებზე და ყოველ 3 წელიწადში ერთხელ სამაგისტრო პროგრამებზე.

სტუდენტების შეფასება და გამოცდა ტარდება მარეგულირებელი დოკუმენტის „სტუდენტის შეფასების და გამოცდის პროცედურის“ მიხედვით, რომელიც შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას. შეფასების ფორმა შეიცავს შეფასების კომპონენტებს, მეთოდებს და შეფასების კრიტერიუმებს. შეფასების საერთო ქულა არის 100 და შეფასების სისტემას აქვს 5 დადებითი და 2 უარყოფითი შეფასება. სტუდენტები სათანადოდ იცნობენ არსებულ წესებსა და პროცედურებს და თითოეული კურსის შეფასების კრიტერიუმებს. შეფასების სისტემა მოიცავს შუალედურ შეფასებას და დასკვნით გამოცდებს. ბსსა- ს აქვს კარგად ჩამოყალიბებული საგამოცდო ელექტრონული სისტემა, რომელსაც შეუძლია შეფასების გამჭვირვალე და ობიექტური მიდგომების შექმნა. ელექტრონული სისტემით სტუდენტის მუშაობის შეფასება ხდება ანონიმურად, ანუ ლექტორს არ აქვს წვდომა სტუდენტის სახელებზე. დასკვნითი გამოცდები ტარდება კომპიუტერზე და ამ პროცესის მონიტორინგს და ორგანიზებას ახორციელებს საგამოცდო ცენტრი, და მხოლოდ მას აქვს წვდომა კითხვების ბაზაზე.

ნიშნით უკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს გაასაჩივროს შედეგი. არსებობს ორი სახის გასაჩივრება: ტექნიკური და შინაარსობრივი. თუ ეს ტექნიკური აპელაციაა, სტუდენტმა ელექტრონული პორტალიდან უშუალოდ ლექტორს უნდა მიწეროს განცხადება, თავის მხრივ ლექტორს შეუძლია მოამატოს ან თუნდაც დააკლოს ნიშანი. ლექტორი ვერ ხედავს ვერც წინა ნიშანს და ვერც სტუდენტის სახელს. თუ სტუდენტი არ არის კმაყოფილი, მას შეუძლია ნაშრომი გაასაჩივროს კომისიაში. კომისიებში შედის ფაკულტეტის პერსონალი და თავად კურსის ლექტორი.

კომისიის გადაწყვეტილების დარღვევის შემთხვევაში სტუდენტს უფლება აქვს მიმართოს პრორექტორს, რომლის გადაწყვეტილება ეცნობება სტუდენტს ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

კარგად ჩამოყალიბებული და გამჭვირვალე ელექტრონული საგამოცდო სისტემა შემუშავებულია აკადემიის ადამიანური რესურსებით და წარმოადგენს აკადემიის საკუთარ პროდუქტს. ელექტრონული სისტემა უწყვეტი განვითარებისა და გაუმჯობესების პროცესშია.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- სტუდენტთა შეფასებისა და გამოცდების პროცედურა;
- სასწავლო პროცესის პროცედურა. ბაკალავრიატი;
- სასწავლო პროცესის პროცედურა. მაგისტრატურა;

– კმაყოფილების გამოკითხვები; – თვითშეფასების ანგარიში; – გასაუბრებები ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, სწავლის შედეგების ანგარიშში უფრო მკაფიო და დეტალური ანალიზის ჩართვა. • რეკომენდებულია, რომ ასევე აკადემიური პერსონალი უფრო აქტიურად იყოს ჩართული სწავლის შედეგების გაანალიზების და გაუმჯობესების პროცესში.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4. უსდ-ს პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოს მაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, სამეცნიერო და ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

4.1. პერსონალის მართვა
○ უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკა და პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმით განსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას. ○ უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი: ბსსა- ს პერსონალის მართვის პოლიტიკა აგებულია ფუნდამენტურ პრინციპებზე, რომლებიც ხაზს უსვამს სამართლიანობას, თანასწორობასა და გამჭვირვალობას. პოლიტიკა უზრუნველყოფს, რომ დაქირავებასთან, კომპენსაციასთან, დაწინაურებასთან და HR სხვა აქტივობებთან დაკავშირებით

არსებული ყველა გადაწყვეტილება მიიღება ობიექტური კრიტერიუმებისა და თითოეული ინდივიდის კომპეტენციების საფუძველზე. ეს მიდგომა ხელს უწყობს სამართლიანობას და არადისკრიმინაციას, უზრუნველყოფს თანაბარ შესაძლებლობებს ყველა პერსონალისთვის.

გასაუბრებების დროს დადასტურდა, რომ ბსსა- ში დაქირავების პროცესი მკაცრი და გამჭვირვალეა. აკადემია იყენებს დამსახურებაზე დაფუძნებულ მიდგომას კვალიფიციურ პირთა სხვადასხვა თანამდებობაზე დაქირავებისას. აქ იგულისხმება ვაკანსიების საჯარო გამოცხადება, შერჩევის საფუძვლიანი პროცედურები და დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინება. პროცესი აგებულია ისე, რომ მოიზიდოს და შეინარჩუნოს კომპეტენტური პერსონალი, რომელიც აკმაყოფილებს დაწესებულების მაღალ სტანდარტებს.

ბსსა სთავაზობს პერსონალს აფილირებისთვის მკაფიო პირობებს. აკადემიურ პერსონალს საკუთარი ნებით შეუძლია გახდეს აკადემიის აფილირებული პერსონალი, რაც გულისხმობს წერილობით შეთანხმებას, სადაც ასახულია მათი როლი და პასუხისმგებლობები. აფილირებული პერსონალი აქტიურად არის ჩართული საგანმანათლებლო და კვლევით საქმიანობაში და სარგებლობს ისეთი ხელშემწყობი მექანიზმებით, როგორიცაა კონფერენციებისა და კვლევითი აქტივობების დაფინანსება.

თავის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს აკადემია მოუწოდებს მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში. მათი ჩართულობა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებას, კვლევით პროექტებს და შემოქმედებით საქმიანობას. ეს მონაწილეობითი მიდგომა ნიშნავს, რომ აკადემია აფასებს პერსონალის წვლილს და ახდენს მის ინტეგრირებას დაწესებულების სტრატეგიულ ინიციატივებში.

ბსსა ხაზს უსვამს პერსონალის პროფესიულ განვითარებას. აკადემია გთავაზობთ სხვადასხვა სასწავლო პროგრამას, ვორქშოფს და შემდგომი განათლების შესაძლებლობებს. ეს ინიციატივები მიზნად ისახავს პერსონალის უნარებისა და ცოდნის გაღრმავებას და აზიარებს მათ შესაბამის სფეროებში უახლეს განვითარებას.

გასაუბრებების დროს ექსპერტთა ჯგუფმა შენიშნა, რომ ბსსა- ში ანაზღაურებისა და წახალისების სისტემა დაკავშირებულია შესრულების შეფასების შედეგებთან. აკადემიამ ჩამოაყალიბა პერსონალის წახალისების მკაფიო პრინციპები მათი წვლილისა და მიღწევების საფუძველზე. ეს მოიცავს ფინანსურ წახალისებას, პროფესიულ აღიარებას და კარიერული წინსვლის შესაძლებლობებს.

ბსსა- ს ახალი თანამშრომლები გადიან ადაპტაციის ყოვლისმომცველ პროცესს. ეს მოიცავს საორიენტაციო სესიებს, მენტორობის პროგრამებს და რეგულარული უკუკავშირის მექანიზმებს. ყოველივე ამის მიზანია ახალი პერსონალის შეუფერხებლად ინტეგრირება აკადემიის სამუშაო გარემოში და იმის უზრუნველყოფა, რომ ისინი თავიდანვე ეფექტურად არიან ჩართულნი თავიანთ როლებში.

ბსსა- ში ინახება პერსონალის შესახებ დეტალური ჩანაწერები და სტატისტიკური მონაცემები. ეს ინფორმაცია მოიცავს დემოგრაფიულ დეტალებს, კვალიფიკაციას, პროფესიულ მიღწევებს და კმაყოფილების გამოკითხვებიდან მიღებულ უკუკავშირს. მონაცემები გამოიყენება HR პოლიტიკის ინფორმირებისთვის და პერსონალის მართვის მუდმივი გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად.

ბსსა რეგულარულად ატარებს პერსონალის შეფასებას და კმაყოფილების გამოკითხვებს. ამ შეფასებების შედეგები აქტიურად გამოიყენება HR პოლიტიკისა და პრაქტიკის დასახვეწად. ეს უკუკავშირი ეხმარება აკადემიას ნებისმიერი საკითხის დროულად გადაჭრაში და მოტივირებული და კმაყოფილი პერსონალის შენარჩუნებაში.

ბსსა- ს დადგენილი აქვს მკაფიო კრიტერიუმები პერსონალის მუშაობისა და ინსტიტუციური საქმიანობისთვის. იმისთვის, რომ ეს კრიტერიუმები შესაბამისი და გამომწვევი დარჩეს, რეგულარულად ხდება მათი განხილვა და განახლება. ამ კრიტერიუმების მუდმივი გაუმჯობესება გადამწყვეტია ბსსა- ს სრულყოფილებისთვის.

ბსსა- მ შეიმუშავა დეტალური საკვალიფიკაციო მოთხოვნები პერსონალის ყველა კატეგორიისთვის. ეს მოთხოვნები ეფუძნება სამუშაოს აღწერილობას, კონკრეტულ ფუნქციებს და შესაბამისობას კანონმდებლობასთან. ეს იმის გარანტია, რომ პერსონალის ყველა წევრს გააჩნია მათი როლების ეფექტურად შესრულებისთვის აუცილებელი კვალიფიკაცია და კომპეტენციები.

ბსსა- ს პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების სტანდარტებს, ჰარმონიზებულია უმაღლესი განათლების შესახებ კანონის მოთხოვნებთან. რეგულარული აუდიტი და შეფასებები უზრუნველყოფს, რომ პერსონალის ყველა წევრს გააჩნია საჭირო კვალიფიკაცია და აკმაყოფილებს აკადემიის მაღალ სტანდარტებს. ეს შესაბამისობა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ ბსსა- მ შეინარჩუნოს საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული პროცესების ხარისხი და მთლიანობა.

ბსსა- ს თავის საგანმანათლებლო პროგრამაში მოწვეული ჰყავს მოქმედი მეზღვაურები. ეს იმ ფაქტს გულისხმობს, რომ თემები ყოველთვის თანამედროვე დონეზეა და მოქმედ ოფიცრებთან და ინჟინრებთან ურთიერთობა ძალიან ღირებულია სტუდენტებისთვის. აკადემიაში მათი უწყვეტი ყოფნის უზრუნველსაყოფად ბსსა იყენებს მოქმედი მეზღვაურების საკუთარ მონაცემთა ბაზას, რაც ძალიან სასარგებლოა. გარდა ამისა, აღსანიშნავია მოწვეული პერსონალის ჩართულობა აკადემიის სტრუქტურებსა და მისიაში. ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გარკვეული ეჭვები აქვთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ მოწვეული პერსონალის რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე მუდმივი აკადემიური პერსონალის. ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის თანაფარდობა; აკადემიური/სამეცნიერო პერსონალი- სტუდენტების თანაფარდობა; ადმინისტრაციული პერსონალი- სტუდენტების თანაფარდობა; პერსონალის შენარჩუნების მაჩვენებელი ადეკვატურია.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, შემოწმდეს აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა. ცხადია, რომ რაოდენობრივად უფრო მეტია მოწვეული აკადემიური პერსონალი, ვიდრე მუდმივი აკადემიური პერსონალი.

რჩევები:

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა

უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულებაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

ბსსა დაკომპლექტებული არის გამოცდილი აკადემიური პერსონალით, თუმცა მათ დასახმარებლად ჩართულია მოწვეული პერსონალის მნიშვნელოვანი რაოდენობა. ამ კომბინაციას მნიშვნელოვანი უპირატესობები აქვს: გარდა მოქნილობისა, ის ასევე გთავაზობთ პრაქტიკასთან დაახლოებულ უახლეს სწავლებას და ავტონომიის მაღალ ხარისხს შესწავლილ პროფესიებთან მიმართებაში. ეს პრაქტიკა დიდ მოთხოვნებს უყენებს სემესტრულ დაგეგმვას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც საქმე ეხება მოქმედ მეზღვაურებს, რომელთა მოგზაურობის გეგმა ხშირად ზუსტი არ არის. ამისთვის ბსსა- ს გააჩნია შესაფერისი და დაინტერესებული კანდიდატების ბაზა, რომლებიც საჭიროების შემთხვევაში მოახერხებენ სწავლების პროცესში ჩართვას. პროფესიული უწყვეტობა გარანტირებულია სტანდარტიზებული სასწავლო დოკუმენტებითა და გეგმებით, რომლებსაც პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ.

ექსპერტთა ჯგუფის წევრებს გარკვეული ეჭვები აქვთ აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობასთან დაკავშირებით. ცხადია, რომ მოწვეული პერსონალის რაოდენობა უფრო მეტია, ვიდრე მუდმივი აკადემიური პერსონალის. დადებითი ფაქტია, რომ მოწვეული ლექტორები სწავლების გარდა, ჩართულნი არიან საუნივერსიტეტო ცხოვრების ყველა სხვა სფეროში, თუმცა ჩნდება შეკითხვა დატვირთვის შესახებ და ხომ არ ზიანდება ხარისხი ამ პირობებში გრძელვადიან პერსპექტივაში. ეს აჩენს კიდევ ერთ შეკითხვას იმის შესახებ, თუ რატომ არ არის ან არ ხდება უფრო მეტი მუდმივი აკადემიური პერსონალის აყვანა, რა შესაძლებლობები არსებობს ახალგაზრდა და გამოცდილი კადრების მოზიდვისთვის მთლიანი აკადემიური კარიერისთვის და ვინ იზიდავს მათ აკადემიურ პერსონალად. აკადემიური პერსონალი ძირითადად აფილირებულია ერთ უმაღლეს სასწავლებელში აკადემიურ პერსონალსა და უმაღლეს სასწავლებელს შორის შეთანხმების საფუძველზე. ასევე ყურადღება უნდა მიექცეს აფილირებული პერსონალის რაოდენობას.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

თვითშეფასების ანგარიში;

გასაუბრებები ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

- რეკომენდებულია, დადგინდეს მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მოწვეულ პერსონალს შეუერთდნენ მუდმივ აკადემიურ პერსონალს და შეეცადოს აღმოფხვრას დამაბრკოლებელი გარემოებები მიზნობრივი გზით.
- რეკომენდებულია, გადაიხედოს პერსონალის დატვირთვა (აკადემიური / ადმინისტრაციული), იმისათის რომ, მათ ჰქონდეთ დაბალანსებული სამუშაო დატვირთვა ადმინისტრაციული, სასწავლო და კვლევითი ფუნქციების განსახორციელებლად.

რჩევები:

- რეკომენდებულია, დაწესებულებამ დაადგინოს მიზეზები, რომლებიც ხელს უშლის მოწვეულ პერსონალს შეუერთდნენ მუდმივ აკადემიურ პერსონალს და შეეცადოს აღმოფხვრას დამაბრკოლებელი გარემოებები მიზნობრივი გზით.
- სასურველია აკადემიამ დაამტკიცოს, რომ კონკურენტული ანაზღაურების გარდა (რაც, სავარაუდოდ, განსაკუთრებით რთული იქნება მეზღვაურებისთვის), კვლევისა და აკადემიური კვალიფიკაციის შესაძლებლობა დამატებითი სტიმული შეიძლება იყოს.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

ბსსა - ს საგანმანათლებლო პროგრამებში, მოწვეული პერსონალის სტატუსით ჩართული ჰყავს აქტიური მეზღვაურები. ეს გულისხმობს, რომ თემები ყოველთვის თანამედროვე დონეზეა და მოქმედ ოფიცრებთან და ინჟინრებთან ურთიერთობა ძალიან ღირებულია სტუდენტებისთვის. უწყვეტი თანამშრომლობის უზრუნველსაყოფად, ბსსა იყენებს აქტიური მეზღვაურების საკუთარ მონაცემთა ბაზას, რაც ძალიან სასარგებლოა. გარდა ამისა, აღსანიშნავია მოწვეული პერსონალის ჩართულობა აკადემიის სტრუქტურებსა და მისიაში.

შეფასება

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები

- უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემიაში ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა ნახა საჭირო დოკუმენტაცია, რომელიც აუცილებელია „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და სხვა მარეგულირებელი თუ ნორმატიული დოკუმენტების მიხედვით. შეიძლება ითქვას, რომ დაწესებულებას აქვს ყველა საჭირო დოკუმენტი სტუდენტის სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის და მობილობის პროცესების შესახებ (დანართი 5.1.1). რაც შეეხება საერთაშორისო სტუდენტებს,

რომლებსაც სურთ აკადემიაში სწავლა, მათ კონკრეტული საფეხურები უნდა გაიარონ და წარმოადგინონ საჭირო დოკუმენტები (დანართი 5.1.1). მთელი ეს ინფორმაცია სტუდენტებს ეგზავნება სასწავლო წლის დასაწყისში და დოკუმენტები ხელმისაწვდომია მათ სტუდენტურ პორტალზეც. უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის იდება ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს ინფორმაციას აკადემიის მოვალეობებისა და უფლებების, სტუდენტების უფლებებისა და მოვალეობების შესახებ, ასევე ინფორმაციას სწავლის საფასურის შესახებ. გასაჩივრების პროცედურების თვალსაზრისით (დანართი 3.3.1) სტუდენტებს შეუძლიათ გაასაჩივრონ საბოლოო შეფასება შედეგების მიღებიდან სამი დღის ვადაში. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ გაცვლით პროგრამებში (დანართი 6.1.6) და პროგრამების შესახებ დეტალური ინფორმაცია ჩვეულებრივ ხელმისაწვდომია აკადემიის ფეისბუქის გვერდზე ან/ და მათ ვებგვერდზე. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ ვებ გვერდზე იხილონ სტუდენტური გზამკვლევი, რომელიც შეიცავს ზოგად ინფორმაციას აკადემიის, პროგრამებისა და სტუდენტური სერვისების შესახებ.
მტკიცებულელები/ინდიკატორები მარეგულირებელი დოკუმენტები. გასაუბრება სტუდენტებთან; აკადემიის ვებგვერდი
რეკომენდაციები:
რჩევები: • სასურველია, რომ სტუდენტური თვითმმართველობა იყოს უფრო მეტად ინფორმირებული და დამოუკიდებელი და აღნიშნულის შედეგად უფრო აქტიური.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები
○ სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება. ○ უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.

○ უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.
სასწავლო წლის დასაწყისში ბსსა- ს სტუდენტები ეცნობიან მათთვის ხელმისაწვდომ სტუდენტურ სერვისებს. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური მათ ასევე უგზავნის კითხვარებს მათი ლექტორებისა და პროგრამების შესაფასებლად. როდესაც სტუდენტის უკუკავშირი უარყოფითია, დეკანი, პროგრამის კოორდინატორი და ხარისხის უზრუნველყოფის ხელმძღვანელი ერთად განიხილავენ მას. სტუდენტებს აქვთ სტუდენტური პორტალი, სადაც ისინი ხედავენ საკუთარ განრიგს, გამოცდების განრიგს და შეფასებებს, ხოლო გამოცდის არადამაკმაყოფილებელი შედეგების შემთხვევაში სტუდენტებს შეუძლიათ შეფასების გასაჩივრება უშუალოდ სტუდენტური პორტალიდან, უნდა დაწერონ განცხადება და დააკონკრეტონ პრობლემა. სტუდენტებმა იცოდნენ გასაჩივრების პროცედურების შესახებ. სტუდენტებს ასევე შეუძლიათ თავად აირჩიონ მათთვის მოსახერხებელი საგამოცდო თარიღები. მათ შეუძლიათ ელექტრონულ ბიბლიოთეკაში წვდომა აკადემიის მიერ მიცემული სპეციალური ID გამოყენებით. სტუდენტურ პორტალზე სტუდენტები ასევე ხედავენ დოკუმენტებს და ეცნობიან სიახლეებს. ახალი პროექტების ან გაცვლითი პროგრამების არსებობის შემთხვევაში, სტუდენტებს შეუძლიათ დეტალების ნახვა სტუდენტურ პორტალზე ან უნივერსიტეტის სოციალურ მედიასა და ვებგვერდზე. უნივერსიტეტს აქვს კარიერული მხარდაჭერის სერვისები (დანართი 5.2.1), რომელიც სტუდენტებს აწვდის სასარგებლო ინფორმაციას მიმდინარე სამუშაო შესაძლებლობებისა და სტაჟირების, პროექტებისა და კონფერენციების შესახებ. ისინი სთავაზობენ სტუდენტებს აუცილებელ ტრენინგებს სხვადასხვა საკითხებზე: გასაუბრება და CV- ები, რაც მათ სამომავლოდ დასაქმებაში დაეხმარება. სტუდენტების დასაქმების მხარდასაჭერად, უნივერსიტეტი ცდილობს გააძლიეროს თანამშრომლობა საერთაშორისო და ადგილობრივ სექტორებთან. უნივერსიტეტი აწყობს სხვადასხვა ღონისძიებას და დასაქმების ფორუმს, სადაც მოწვეული არიან სხვადასხვა კომპანიის წარმომადგენლები და სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა შეხვდნენ მათ და მიიღონ უკუკავშირი და ინფორმაცია მათი პროფესიული განვითარების შესახებ. უნივერსიტეტი იღებს უკუკავშირს დამსაქმებლებისგან მათი კურსდამთავრებულების შესახებ და აკონტროლებს რამდენად კმაყოფილი არიან დამსაქმებლები და რა შეიძლება გაუმჯობესდეს პროგრამაში. რაც შეეხება კურსდამთავრებულებთან კომუნიკაციას, უნივერსიტეტს მათთან ურთიერთობისთვის შექმნილი აქვს სოციალური ჯგუფები, სადაც ხდება ინფორმაციის გაზიარება. სტუდენტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ შეუძლიათ საკონსულტაციო საათების გამოყენება, როცა დასჭირდებათ. უნივერსიტეტი სტუდენტებს სთავაზობს კლასგარეშე აქტივობებს. მათ ჰყავთ გუნდები სპორტის სხვადასხვა სახეობაში, როგორიცაა ფეხბურთი, კალათბურთი და ფრენბურთი; ჰყავთ მუსიკალური ჯგუფი, საქართველოს ეროვნული ცეკვის კლუბი. აკადემიას ჰყავს სტუდენტური თვითმმართველობა, რომელიც გეგმავს და აწყობს სხვადასხვა კლასგარეშე აქტივობას აკადემიაში, თუმცა ბიუჯეტის მხრივ თვითმმართველობა არ არის დამოუკიდებელი და მათ წინასწარ უნდა დაგეგმონ დეტალები და შემდეგ შეათანხმონ ღონისძიების დეტალები ადმინისტრაციასთან. სტუდენტური თვითმმართველობა საჭიროების შემთხვევაში მხარს უჭერს სტუდენტებს საგანმანათლებლო პროცესის კუთხით, მაგრამ სტუდენტური თვითმმართველობის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ ისინი არ არიან სრულად ინფორმირებულები თავიანთი მოვალეობების შესახებ, მაგალითად რა სახის მხარდაჭერა შეუძლიათ უზრუნველყონ და როგორ.

სტუდენტები სარგებლობენ სტიპენდიებით და სწავლის საფასურის გადახდის მოქნილი სქემით. თუ სტუდენტებს სხვადასხვა მიზეზის გამო პრობლემები აქვთ გადახდებთან დაკავშირებით, შეუძლიათ მიმართონ ადმინისტრაციას და განიხილონ საქმე. აკადემიაში მოქმედებს სპეციალური ფასდაკლებები იმ სტუდენტებისთვის, რომელთა დედმამიშვილები უკვე სწავლობენ აკადემიაში, ასევე ობოლი სტუდენტებისთვის.
მტკიცებულელები/ინდიკატორები გასაუბრება სტუდენტებთან გასაუბრება ადმინისტრაციასთან და ლექტორებთან; გასაუბრება სტუდენტურ თვითმმართველობასთან ხელშეკრულების ნიმუშები;
რეკომენდაციები:
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, მისი ტიპისა და კონკრეტული დარგ(ებ)ის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის ამაღლებას

6.1 კვლევითი საქმიანობა
○ უსდ, სახის და დარგის სპეფიციკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას. ○ სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა ○ უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.
სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

ბსსა აერთიანებს სწავლებასა და კვლევას ეკონომიკურ განვითარებასთან, სფეროს პარტნიორებთან თანამშრომლობით და კვლევების ჩატარებით, რომლებიც განაპირობებს ტექნოლოგიურ და სამრეწველო ინოვაციებს. ეს თანამშრომლობა აძლიერებს აკადემიური სწავლების შესაბამისობას და გამოყენებას, რაც ხელს უწყობს რეგიონულ და ეროვნულ ეკონომიკურ განვითარებას.

ბსსა ჩართულია სხვადასხვა კვლევით და შემოქმედებით საქმიანობაში, რაც მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სამეცნიერო, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ განვითარებაზე. ეს აქტივობები მრავალ დონეზე ხორციელდება, ადგილობრივიდან საერთაშორისომდე, რაც ხაზს უსვამს იმ ფაქტს, რომ ბსსა- ს წვლილი ფართო და გავლენიანია.

ბსსა- ს აქვს საკუთარი სტრატეგიული ხედვა თავისი როლის შესახებ კვლევასა და განვითარებაში. დაწესებულებამ ჩამოაყალიბა და განაგრძობს კომპლექსური კვლევითი და კრეატიული პროექტების განხორციელებას, რომელიც შეესაბამება მის მისიას და სტრატეგიულ მიზნებს. ეს ინიციატივები ზედმიწევნით არის დაგეგმილი, რაც უზრუნველყოფს მათ შესაბამისობას უმაღლეს სტანდარტებთან.

ბსსა უზრუნველყოფს, რომ მისი კვლევითი აქტივობების მიგნებები ჩართულია მის სასწავლო პროგრამებში. ეს ინტეგრაცია ამდიდრებს სტუდენტების საგანმანათლებლო გამოცდილებას, უზრუნველყოფს მათ უახლესი ცოდნითა და პრაქტიკული შეხედულებებით, რომლებიც მიმდინარე კვლევითი პროექტებიდანაა მიღებული.

ბსსა- ს აქვს კარგად განსაზღვრული როლები და პასუხისმგებლობები მაგისტრატურის სტუდენტების ხელმძღვანელებისთვის. ეს პირები ხელმძღვანელობენ კვლევით პროექტებს, ახორციელებენ აკადემიურ მენტორობას და უზრუნველყოფენ კვლევითი საქმიანობის შეესაბამებას დაწესებულების მაღალ სტანდარტებთან.

ბსსა იცავს დისერტაციების შეფასებისა და დაცვის მკაცრ სტანდარტებს. შემუშავებული პროცესი არის საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანი, მასში ჩართულია მაღალკვალიფიციური აკადემიური და სამეცნიერო პერსონალი, რაც უზრუნველყოფს შეფასების კეთილსინდისიერებას და ხარისხს.

ბსსა- მ უკვე დიდი ძალისხმევა გამოიჩინა მე-6 სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის მისაღწევად. ამიტომ, შეიქმნა შესაბამისი სტრუქტურული ერთეული კვლევითი საქმიანობის წახალისებისა და კოორდინაციის მიზნით, განისაზღვრა სტრატეგიული გეგმა, პროცედურები და წესები, ჩატარდა შეხვედრები ადგილობრივ დაინტერესებულ მხარეებთან და ა.შ. ბოლო 4 წლის განმავლობაში ყოველწლიურად ქვეყნდებოდა 20- 30 სტატია, ბსსა აქტიურად მონაწილეობს IAMU კვლევაში - ახალგაზრდა აკადემიური პერსონალის ჩათვლით - და IAMU AGA 21 ბათუმში ჩატარდა. 2020 წლის 10 ივლისს ამოქმედდა კვლევითი პროექტების შიდა კონკურსი. სამეცნიერო კვლევითი პროექტების შესარჩევად შეიქმნა კომისია, რომელშიც შედიოდნენ აკადემიის ამერიტუსი თანამშრომლები, ბსსა- ს ადმინისტრაციის წარმომადგენლები და საქართველოს საზღვაო მარეგულირებელი ორგანო - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო. საკონკურსო განაცხადები წარდგენილი და განხილული იყო „კვლევითი და განვითარების პროექტების განხორციელებისა და დაფინანსების წესების“ შესაბამისად. შემოსული იყო 8 განაცხადი, აქედან 6 პროექტი სრულად დაფინანსდა აკადემიის შიდა ბიუჯეტიდან. გარდა ამისა, ბსსა მიემართება სადოქტორო პროგრამების განხორციელებისკენ ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და პარტნიორებთან თანამშრომლობით. ასე რომ, სტრატეგიული გეგმა და უსდ- ის მხარდაჭერა წარმოდგენილია, ყოველ შემთხვევაში აკადემიური პერსონალის საქმიანობა მრავალფეროვანია. ბოლო წლების პანდემიური ვითარებით გამოწვეული განსაკუთრებული გამოწვევების გარდა, არის კონკრეტული გამოწვევა, რომელიც უკავშირდება მეზღვაურთა მოწვეულ პერსონალს და მაგისტრანტებს. ამ ფაქტს აკადემია უკვე აღიარებს.

სხვადასხვა კვლევითი საქმიანობისთვის ბსსა- ს აქვს შესანიშნავი ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, სახელოსნოები, სიმულატორები, პროგრამული უზრუნველყოფის ლიცენზიები

და წვდომა ონლაინ ბიბლიოთეკებზე, როგორიცაა "Science Direct".). გარდა ამისა, ბსსა არის IAMU- ს აქტიური წევრი, რაც აკადემიას კონფერენციებში სამეცნიერო და სტუდენტური კვლევის პრეზენტაციების საშუალებას აძლევს. შეჯამების სახით შეიძლება ითქვას, რომ ბსსა სწორ გზაზეა, აკეთებს სწორ დასკვნებს კრიტიკულ დაკვირვებებზე დაყრდნობით და მზად არის სწორი სიგნალების დასაყენებლად. თანამედროვე თემების წამყვან კვლევაში მონაწილეობის მიღება და გაძლიერებული საერთაშორისო თანამშრომლობა, ასევე პოპულარული კვლევითი პროექტების მიღება სასარგებლო იქნება აკადემიისთვის. თუ ეს მუდმივად განხორციელდება, შეიძლება შეიქმნას კვლევითი პერსონალის მყარი ბაზა, რომელიც წარმატებით იმუშავებს შემდგომ თემებზე უფრო ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში და ბსსა- ს კვლევას განსაკუთრებულ ადგილს დაუმკვიდრებს საერთაშორისო კვლევის ლანდშაფტში.
მტკიცებულელები/ინდიკატორები თვითშეფასების ანგარიში; გასაუბრებები ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები:
რჩევები: • სასურველია, მეტი აქტივობების შემუშავება საერთაშორისო აქტუალურ თემებზე კვლევითი პროექტების განსახორციელებლად. • სასურველია, უნივერსიტეტის მხრიდან გაიზარდოს წახალისების ღონისძიებები, ზღვრული პირობების დადგენისთვის; კვლევითი გუნდების გაზრდის მიზნით ერთი ან მეტი ინტერესის სფეროს შეთავაზება, რაც სხვადასხვა კვლევით ჯგუფს უზრუნველყოფს არჩეულ ძირითად თემებზე ინტერდისციპლინური სამუშაო პირობებით.
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში): • სხვადასხვა კვლევითი საქმიანობისთვის, ბსსა - ს აქვს შესანიშნავი ინფრასტრუქტურა (ლაბორატორიები, სახელოსნოები, სიმულატორები, ლიცენზირებული პროგრამული უზრუნველყოფა და წვდომა ონლაინ ბიბლიოთეკებზე, როგორიც არის "Science Direct"). გარდა ამისა, ბსსა არის საზღვაო უნივერსიტეტების საერთაშორისო ასოციაციის (IAMU) აქტიური წევრი, რომელიც საშუალებას აძლევს დაწესებულებას მონაწილეობა მიიღოს სამეცნიერო კონფერენციებში და წარადგინოს სტუდენტური სამეცნიერო პრეზენტაციები.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში.
- დაწესებულება მუშაობს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

კვლევის მხარდაჭერისა და ინტერნაციონალიზაციის შეფასება ორიენტირებულია სტანდარტის შემდეგ მოთხოვნებზე:

1. უსდ მუდმივად ცდილობს გაზარდოს კვლევის, განვითარებისა და კრეატიული სერვისების ეფექტურობა.

ახალი ცოდნისა და ინოვაციური მიდგომების გასაუმჯობესებლად, ბსსა აქტიურად უჭერს მხარს კვლევებსა და აქტივობებს. დაწესებულება მხარს უჭერს თავის აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს, შეისწავლოს სხვადასხვა საკვლევი თემა და შემოქმედებითი პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს უწყვეტი ინტელექტუალური ზრდისა და აღმოჩენის კულტურას. კვლევასა და შემოქმედებით საქმიანობაში ახალი კადრების მოზიდვისა და მხარდაჭერის მიზნით, ბსსა- მ ეფექტური სისტემა შეიმუშავა. დაწესებულება ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას თავის სამეცნიერო და შემოქმედებით პროექტებში, აძლევს მათ შესაძლებლობას განავითარონ თავიანთი უნარები და განახორციელონ აკადემიური ინტერესები.

როგორც უკვე დადასტურდა, ამ ინიციატივების წარმატება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს თანამედროვე აკადემიურ კონტექსტში, ვინაიდან აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების გარკვეული ნაწილი არ ავლენს საკმარის მოტივაციას ან ვერ აცნობიერებს საკუთარ პოტენციალს კვლევით საქმიანობაში აქტიური ჩართულობისთვის.

2. კვლევის განვითარებისა და შემოქმედებითი აქტივობებისთვის გამოყოფილი ფინანსების დინამიკა ბოლო 5 წლის განმავლობაში;

ბსსა- ში დაფინანსების პროცედურები საჯარო, გამჭვირვალე და სამართლიანია. დაწესებულება უზრუნველყოფს კვლევის დაფინანსების ყველა შესაძლებლობის ღიად გამოცხადებას, ხოლო შერჩევის პროცესი ეფუძნება მკაფიო და ობიექტურ კრიტერიუმებს.

ეს ხელს უწყობს კვლევის სახსრების განაწილების სანდოობას და თანასწორობას.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია უზრუნველყოფს კომპლექსურ ინსტიტუციურ მხარდაჭერას თავისი აკადემიური და სამეცნიერო პერსონალისთვის კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მოპოვების მიზნით. ეს მოიცავს ფასილიტაციას პოტენციური დაფინანსების წყაროების იდენტიფიცირებაში, საგრანტო აპლიკაციების შემუშავებაში და სამართლებრივი ასპექტების ნავიგაციაში. დაწესებულება ასევე ახორციელებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას გრანტების მენეჯმენტისა და ანგარიშგების, კვლევითი ფონდების ოპტიმალური უტილიზაციისა და დაფინანსების პირობებთან შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით.

3. უსდ საერთაშორისო პარტნიორებთან ერთად ახორციელებს ერთობლივ კვლევით, შემოქმედებით- სახელოვნებო პროექტებს/ აქტივობებს. იგი ჩართულია ევროკავშირის სამეცნიერო- კვლევით პროგრამებში, აქვს ინსტიტუციური თანამშრომლობა საერთაშორისო კვლევით/ სახელოვნებო ცენტრებთან, ეწევა სხვადასხვა საერთაშორისო სამეცნიერო/ სახელოვნებო შემოქმედებით საქმიანობას.

აკადემია აცნობიერებს ამ მოთხოვნას და აქტიურად ცდილობს საერთაშორისო პარტნიორებთან ერთობლივი კვლევების განხორციელებას, ასევე ევროკავშირის სამეცნიერო- კვლევით პროგრამებში ინტეგრაციას. მიუხედავად ამისა, ამჟამინდელი ინიციატივები არ ხასიათდება სრული ეფექტურობით; ამის პოტენციური მიზეზები უკვე განხილულია სტანდარტში 6.1. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია მიმართავს ყველა შესაძლო რესურსს ამ მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. ინსტიტუციური კოლაბორაცია საერთაშორისო კვლევით ცენტრებთან უკვე დამყარებულია; განსაკუთრებით აღსანიშნავია აკადემიის მნიშვნელოვანი როლი საერთაშორისო საზღვაო საუნივერსიტეტო ასოციაციაში (IAMU), რაც მოიცავს ინტენსიურ საერთაშორისო თანამშრომლობას საზღვაო კვლევებში. მიუხედავად ამისა, ზოგიერთი აკადემიური პერსონალი გამოთქვამს მოსაზრებას კვლევითი საქმიანობისა და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებისთვის გამოყოფილი ფინანსური რესურსების გაზრდის აუცილებლობის შესახებ.

4. უსდ მხარს უჭერს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების განხორციელებას. იგი ასევე მხარს უჭერს საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესორების თანახელმძღვანელობის პრაქტიკას.

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ყველა ძალისხმევას მიმართვას იმისკენ, რომ ეროვნულ და საერთაშორისო უნივერსიტეტებთან და პარტნიორ ორგანიზაციებთან ერთად განახორციელოს ერთობლივი სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. აკადემიაში უკვე დანერგილია საერთაშორისო და ადგილობრივი პროფესორების მიერ ხელმძღვანელობის პრაქტიკა. კერძოდ, ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია სარგებლობს საერთაშორისო პროფესურის ექსპერტიზით საზღვაო ნავიგაციაში კურსების განახლების მიზნით. პარალელურად, დაგეგმილია საზღვაო ტექნიკური და ელექტროტექნიკური სასწავლო კურსების ფარგლებში საერთაშორისო აკადემიური ექსპერტების ინტეგრაციის პროცესი.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- თვითშეფასების ანგარიში;
- გასაუბრებები ვიზიტის დროს.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია, კვლევით შესაძლებლობებთან დაკავშირებით SWOT ანალიზის გაკეთება, რათა იდენტიფიცირებულ იქნას პერსპექტიული და მოთხოვნადი კვლევითი მიმართულებები, ასევე მოიძებნოს საერთაშორისო პარტნიორები და კვლევითი პროგრამები.
- სასურველია მოიძებნოს სამეცნიერო პერსონალი კვლევითი პროექტებისთვის, რომლებიც მუდმივად იმუშავებენ ერთი კონკრეტული - და პოტენციურად, მონათესავე - მიმართულებების ფარგლებში, რაც მიზნად ისახავს შერჩეულ სფეროებში კომპეტენციების ფორმირებასა და კონსოლიდაციას.

- სასურველია, დაწესებულებამ წაახალისოს კვლევით აქტივობებში უფრო აქტიური მონაწილეობა, რაც კვლევით საქმიანობას გახდის უფრო მიმზიდველს (დრო, კვალიფიკაციის შანსები, მონაწილეობა საერთაშორისო კონფერენციებში).

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება

უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ორიენტირებულია კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი სერვისების ეფექტურობის ოპტიმიზაციაზე. დაწესებულება სისტემატურად აფასებს კვლევით საქმიანობას და ახორციელებს სტრატეგიებს ხარისხისა და გავლენის ამაღლების მიზნით.

აკადემიამ დანერგა კვლევითი და შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის შეფასებისა და ანალიზის სისტემა. ეს შეფასება მოიცავს სამეცნიერო- კვლევითი ერთეულების პროდუქტიულობისა და აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის საქმიანობის შეფასებას. პროცესი რეგულირდება სამეცნიერო- კვლევითი პროექტების განხორციელებისა და დაფინანსების კონკრეტული რეგულაციებით. შეფასების მიზანია უზრუნველყოს კვლევითი აქტივობების შესაბამისობა დაწესებულების მიზნებთან და წვლილი შეიტანოს სასწავლო პროცესის, კურსდამთავრებულთა დასაქმების და ახალი პროგრამებისა და სასწავლო კურსების განვითარების მიმართულებით.

ყოველი კალენდარული წლის დასასრულს აკადემია აქვეყნებს დეტალურ ანგარიშებს თავისი კვლევითი საქმიანობის შესახებ. ეს ანგარიშები მოიცავს მიმდინარე კვლევითი პროექტების შედეგებს, მონაწილეობას სამეცნიერო კონფერენციებში და ახალ საგანმანათლებლო პროგრამებში შეტანილ წვლილს. ამ ანგარიშების პუბლიკაცია ზრდის აკადემიის კვლევითი ძალისხმევის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას, წარმოაჩენს დაწესებულების მიღწევებს და ამაღლებს მის სტატუსსა და რეიტინგს საერთაშორისო კლასიფიკაციაში.

კვლევითი საქმიანობის შეფასების შედეგები სისტემატურად გამოიყენება ბსსა- ში მომავალი კვლევითი და შემოქმედებითი პროექტების გაუმჯობესებისთვის. ბსსა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური აფასებს დაგეგმილი კვლევითი საქმიანობის ხარისხს და ატარებს ამ გეგმების განხორციელების მონიტორინგს ყოველწლიური ანგარიშების საფუძველზე. იდენტიფიცირებული ხარვეზები და შეუსაბამობები ინტეგრირდება მომდევნო წლების ახალი სამოქმედო გეგმების

შემუშავებისას, რაც უზრუნველყოფს კვლევის ხარისხისა და პროდუქტიულობის მუდმივ გაუმჯობესებას. ამ კონტექსტში, უნდა დადასტურდეს, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს გააჩნია შესაბამისი კომპეტენციები კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასებისთვის. კვლევითი საქმიანობის შეფასების ხარისხის უზრუნველსაყოფად, მასში ჩართული უნდა იყოს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი.
მტკიცებულელები/ინდიკატორები • თვითშეფასების ანგარიში; • გასაუბრებები ვიზიტის დროს.
რეკომენდაციები: რეკომენდებულია, დაწესებულებამ დაამტკიცოს, რომ მას აქვს ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის შესაბამისი კომპეტენციები იმისათის, რომ შეაფასოს კვლევითი საქმიანობის ხარისხი. კვლევითი საქმიანობის შეფასების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ჩართული უნდა იყოს კვალიფიციური აკადემიური პერსონალი.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შეესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხვნებთან

7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ- ის მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

7.1. მატერიალური რესურსი
○ დაწესებულებას გააჩნია ან მის მფლობელობაშია მატერიალური რესურსები (ფიქსირებული და მიმდინარე აქტივები), რომლებიც გამოიყენება დაწესებულების მისიისა და მიზნების მიღწევისთვის, ადეკვატურად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება მოქმედი სტუდენტებისა და დაგეგმილი ჩარიცხვების არსებულ რაოდენობას. ○ დაწესებულებაში არის საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემო: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა. ○ დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

- დაწესებულებას აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

ბათუმის სახელმწიფო საზღვაო აკადემია ახორციელებს საგანმანათლებლო და სასწავლო პროცესებს ბათუმის ცენტრალურ კამპუსში, ხოლო 2018 წლიდან - ფოთის ფილიალში. ამავე წლიდან დაწესებულება ფლობს სასწავლო გემს "CADET". აკადემიის საერთო ფართობი შეადგენს 22289.33 კვ.მ.- ს, საიდანაც 10581.47 კვ.მ. სასწავლო დანიშნულებისაა, ხოლო 11707,86 კვ.მ. დამხმარე ფართს წარმოადგენს. დაწესებულებამ წარმოადგინა უძრავი ქონებისა და გემის საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ექსპერტთა ვიზიტის ფარგლებში მოხდა აღნიშნული ქონების ვერიფიკაცია. ინფორმაცია აკადემიის 2024 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არსებული მოძრავი ქონების შესახებ დოკუმენტირებულია შესაბამის ანგარიშში. გემზე გაცემულია საქართველოს საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს მიერ დამტკიცებული შიდა ნავიგაციის გემის რეგისტრაციის მოწმობა, ასევე გემის რადიოსადგურის სერტიფიკატი. გემის უსაფრთხოების სერტიფიკატის მოქმედების ვადა გრძელდება 2026 წლის აპრილის ბოლომდე. არსებული დოკუმენტაციისა და ინსპექტირების საფუძველზე დასტურდება, რომ საგანმანათლებლო პროგრამები უზრუნველყოფილია ადეკვატური მატერიალურ- ტექნიკური ბაზით. არსებული სიმულატორები და ლაბორატორიები ქმნიან კვლევითი საქმიანობის განხორციელების შესაძლებლობას. როგორც ბათუმის, ისე ფოთის ფილიალში ფუნქციონირებს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი თეორიული და ლაბორატორიული სასწავლო აუდიტორიები, საკონფერენციო დარბაზები, აკადემიური პერსონალისა და სასწავლო ცენტრის სამუშაო სივრცეები. აკადემიას გაფორმებული აქვს მემორანდუმები პრაქტიკის ობიექტებთან. ექსპერტთა ჯგუფმა ასევე შეამოწმა სანიტარიული კვანძები, სადაც დაცულია სანიტარიულ- ჰიგიენური ნორმები, ბიბლიოთეკა, სასწავლო ოთახები და არქივი. რეკრეაციული სივრცეები აღჭურვილია შესაბამისი მატერიალური საშუალებებით. სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე, აკადემიაში ფუნქციონირებს კაფეტერია. აკადემიას გააჩნია საერთო საცხოვრებელი ბათუმში, რომელიც მოიცავს 10 საცხოვრებელ ოთახს სტუდენტებისთვის, საერთო სამზარეულოთი, სანიტარიული კვანძითა და ერთი აპარტამენტით მოწვეული სტუმრებისთვის. დათვალიერების შედეგად გამოვლინდა საერთო საცხოვრებლის განახლების საჭიროება. აღსანიშნავია, რომ საერთო საცხოვრებელი განთავსებულია სტანდარტულ საცხოვრებელ კორპუსში, რომელიც მდებარეობს აკადემიის ტერიტორიაზე, თუმცა არ არის იზოლირებული აკადემიის ძირითადი შენობებისგან. საგანმანათლებლო/ სამეცნიერო- კვლევით ლაბორატორიებში დაცულია უსაფრთხოების ნორმები. საზღვაო სააგენტოს რეგულაციების შესაბამისად, ყველა ლაბორატორია აღჭურვილია ვიდეომეთვალყურეობის სისტემით. საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ- ტექნიკური ბაზის ინვენტარიზაცია შეესაბამება ექსპერტთა მიერ ინსპექტირებულ რეალურ მდგომარეობას. წარმოდგენილია კომუნალური მომსახურების (ელექტროენერგია, წყალი, ბუნებრივი აირი) გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, ასევე შრომითი ხელშეკრულება გათბობის სისტემის ზედამხედველობის შესახებ. აკადემიაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი; ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა მედიკამენტების ინვენტარიზაცია და სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის სარეგისტრაციო ჟურნალი. აკადემიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მომსახურებაზე; წარმოდგენილია ანგარიში შენობის უსაფრთხოების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა შეამოწმა სახანძრო უსაფრთხოების ინვენტარი, სახანძრო უსაფრთხოების რეგულაციები, ევაკუაციის გეგმები და შესაბამისი ხელშეკრულებები. დათვალიერების შედეგად დადგინდა, რომ ბათუმში, აკადემიის მეორე კორპუსში, საგანგებო გასასვლელი აღჭურვილია ლითონის კარით, რომელიც იღება გარედან შიგნით. აკადემიაში წესრიგს

უზრუნველყოფს დაცვის სამსახური; დადასტურდა ვიდეომეთვალყურეობის სისტემის არსებობა, რომელიც ინახავს ჩანაწერებს ორი კვირის განმავლობაში.

ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში დაწესებულებას არ ჰყავდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე სტუდენტი, თუმცა ერთ აკადემიურ პერსონალს ესაჭიროებოდა ადაპტირებული გარემო. აკადემიის ინფრასტრუქტურა ადაპტირებულია: დამონტაჟებულია ლიფტი, მოწყობილია პანდუსები და სპეციალიზებული სანიტარიული საშუალებები. შენობები აღჭურვილია ცენტრალური გათბობის სისტემით.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- უძრავი ქონების დამადასტურებელი დოკუმენტი - ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- საზომი ნახაზები (ბათუმი, ფოთი);
- მოძრავი ქონების დამოწმებული დოკუმენტაცია;
- გემის "CADET" დოკუმენტაცია;
- საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ- ტექნიკური ბაზების ნუსხა;
- პრაქტიკულ ობიექტებთან გაფორმებული ხელშეკრულებები საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში;
- ელექტროენერგიის, წყლისა და ბუნებრივი აირის გადახდის დამადასტურებელი ქვითრები;
- ხელშეკრულება გათბობის სისტემის ზედამხედველობის შესახებ;
- სანიტარიული ნორმების დაცვის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- სამედიცინო ინვენტარისა და უსაფრთხოების კამერების საკუთრების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- სამედიცინო დახმარების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი პირები;
- დასკვნა შენობის უსაფრთხოების შესახებ;
- დოკუმენტი სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;
- ადაპტირებული გარემოს დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

რეკომენდაციები:

- რეკომენდირებულია აკადემიის სასწავლო, ტრენინგის ზონისა და დამხმარე სივრცეების გამოყოფა საზოგადოებრივი საცხოვრებელი კორპუს(ებ)ისაგან.
- რეკომენდებულია საევაკუაციო გასასვლელის კარების შეცვლა (არ უნდა იყოს რკინის მასალისგან დამზადებული და უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ).

რჩევები:

- სასურველია საერთო საცხოვრებლის მოდერნიზება.

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.2. ბიბლიოთეკის რესურსები

ბიბლიოთეკაში არსებული გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

ბათუმის საზღვაო აკადემიას აქვს 2 ბიბლიოთეკა: ბათუმსა და ფოთში. ორივეში არის კომპიუტერით, პროექტორით, პრინტერით, ქსეროქსით, სკანერით და ინტერნეტით აღჭურვილი სამკითხველო ოთახი. ასევე, ბიბლიოთეკებში არის წიგნადი ფონდი, სივრცე ჯგუფური მუშაობისთვის, რაც სასურველი იქნებოდა უფრო დიდი ყოფილიყო (ბათუმის შემთხვევაში). ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები განთავსებულია ორივე ფილიალში, ასევე გამოქვეყნებულია აკადემიის ვებგვერდზე. ექსპერტებმა შემთხვევითობის წესით გადაამოწმეს საგანმანათლებლო პროგრამების სილაბუსებში მითითებული ლიტერატურა, რომელიც მოიძებნა აკადემიის საბიბლიოთეკო ფონდში და დამუშავებული იყო საბიბლიოთეკო წესით. ბიბლიოთეკა შედის ელექტრონული ბიბლიოთეკის საერთაშორისო ქსელში. ბოლო 5 წლის განმავლობაში ბიბლიოთეკის ელექტრონული რესურსების გამოყენების სტატისტიკა მაღალი იყო პანდემიის დროს, ხოლო 2023 წლის მაჩვენებელი შედარებით დაბალია და ის 470- ს შეადგენს. როგორც სტუდენტებს, ასევე აკადემიის თანამშრომლებს წვდომა აქვთ ელექტრონულ კატალოგზე აკადემიის გარედან. ექსპერტებმა გადაამოწმეს სამეცნიერო ელექტრონული ბაზები და მათი გამოყენების სტატისტიკა. ბიბლიოთეკის პერსონალს აქვს საბიბლიოთეკო მუშაობის პროფესიული ცოდნა, თავისუფლად იყენებს ბიბლიოთეკის მართვის სისტემას, კერძოდ, ელექტრონულ კატალოგს, საძიებო სისტემას, საბიბლიოთეკო მომსახურებით სარგებლობის ელექტრონულ ჟურნალს. სხვადასხვა გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ ბიბლიოთეკა პერიოდულად ატარებს სხვადასხვა ტიპის ტრენინგებს სტუდენტებისა და პროფესორებისთვის. სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვა მოიცავს კითხვებს ბიბლიოთეკის შესახებ. ბიბლიოთეკის ბიუჯეტის დინამიკა იზრდება. სტუდენტებსა და თანამშრომლებს აქვთ საერთაშორისო ბიბლიოთეკის მონაცემთა ბაზებზე წვდომა. ეს წვდომა ყველა ადგილიდან არის შესაძლებელი.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები;
- წიგნადი ფონდის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ელექტრონული სერვისების აღწერა;
- გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.

რეკომენდაციები:

რჩევები:

- სასურველია ბათუმის ბიბლიოთეკაში გაიზარდოს სტუდენტური სამუშაო სივრცე

საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

7.3 საინფორმაციო რესურსი

- უსდ - ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნესს უწყვეტობას.
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებგვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი:

ბათუმის საზღვაო აკადემიის საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები წარმოადგენს დაწესებულების მიერ შემუშავებულ კომპლექსურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების, ინფრასტრუქტურის განვითარებისა და ელექტრონული სისტემების განხორციელების სტრატეგიულ მიმართულებებს სასწავლო- სამეცნიერო და ადმინისტრაციულ სფეროებში. აღნიშნული დოკუმენტი ასევე ადგენს შესაბამის პასუხისმგებლობებს. საინფორმაციო სისტემების ეფექტურობის შეფასების მიზნით, აკადემია ახორციელებს ჟურნალების ყოველდღიურ მონიტორინგს. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტებმა დაათვალიერეს სერვერული ინფრასტრუქტურა როგორც ბათუმში, ასევე ფოთში. ბათუმის სერვერი აღჭურვილია მაღალი წარმადობის კომპონენტებით, მათ შორის ექვსი 2 ტერაბაიტიანი მყარი დისკით. ორივე სერვერის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს ქსელის ადმინისტრატორი. თვითშეფასების ანგარიშში და გასაუბრების დროს აღინიშნა სერვერების ლიცენზიების განახლების აუცილებლობა. დიდი მოცულობის ინფორმაციის შესანახად აკადემია იყენებს ე.წ. Cloud (ღრუბლოვან) ტექნოლოგიებს და ახორციელებს მონაცემთა სარეზერვო ასლების შექმნას. ინტერნეტ კავშირის არსებობა დოკუმენტურად დადასტურებულია, თუმცა აღსანიშნავია, რომ უსადენო ქსელის (Wi- Fi) დაფარვის არეალი არ არის სრულყოფილი, რაც ზღუდავს ინტერნეტზე წვდომას კამპუსის ზოგიერთ ნაწილში (მაგალითად, ეზოში და სხვა ადგილებში).

აკადემია იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას (DES), რომლის ფუნქციონირების პრინციპები დადასტურებულია ექსპერტების მიერ. ასევე აკადემიაში დანერგილია მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც ხელმისაწვდომია როგორც თანამშრომლებისთვის, ისე სტუდენტებისთვის. გასაუბრებებიდან ირკვევა, რომ დაგეგმილია სტუდენტთა რეგისტრაციის სისტემის გაუმჯობესება.

დაწესებულების ვებგვერდი ფუნქციონირებს მხოლოდ ქართულ ენაზე. საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგიისა და გასაუბრებების თანახმად, ინფორმაციის განთავსება ვებგვერდზე ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფისა და საზოგადოებასთან ურთიერთობის

დეპარტამენტებთან კოორდინაციით. ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელნი არიან ISO მენეჯერი, IT სერვისის სპეციალისტი და საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი. აკადემიამ წარმოადგინა რისკების შემცირების წლიური გეგმა, რომელიც მოიცავს IT რისკებსაც. გასაუბრებებმა გამოავლინა IT ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების საჭიროება კიბერუსაფრთხოების მიმართულებით. თვითშეფასების ანგარიში ასევე ხაზს უსვამს უსაფრთხოების გაძლიერების მიზნით როგორც აპარატურული, ისე პროგრამული უზრუნველყოფის (Firewall, ანტივირუსი) შეძენის აუცილებლობას.
მტკიცებულელები/ინდიკატორები - საინფორმაციო ტექნოლოგიების ართვის პოლიტიკა და პროცედურები; - ინტერნეტის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი; - დომენი, ჰოსტინგ-დამადასტურებელი დოკუმენტი; - საზოგადოებასთან ურთიერთობის სტრატეგია; - ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირების სამუშაოს აღწერა; - გასაუბრებისა და დათვალიერების შედეგები.
შეფასება მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით: ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
რეკომენდაციები: • რეკომენდებულია, ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, მათ შორის: ➢ უსადენო კავშირი (ხელმისაწვდომი უნდა იყოს საუნივერსიტეტო სივრცეში) და ➢ შესაბამისი აპარატურის და პროგრამული უზრუნველყოფის დანერგვა კიბერუსაფრთხოების თვალსაზრისით; • რეკომენდებულია, ვებგვერდზე განთავსებული ინფორმაცია წარმოდგენილი იყოს, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
7.4 ფინანსური რესურსი
○ უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია. ○ უსდ - ის ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმებში გაწერილი აქტივობების შესრულებას.

- უსდ - ის ფინანსური რესურსები ორიენტირებულია დაწესებულების ძირითადი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებაზე.
- უსდ - ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება.
- უსდ - ში არსებობს ანგარიშვალდებულების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ბათუმის საზღვაო აკადემიამ შეიმუშავა ბიუჯეტის შედგენის წესი, რომელიც შეიცვალა 2023 წელს. ეს დოკუმენტი განსაზღვრავს ბიუჯეტის პრიორიტეტულ პროგრამებს და მათი შესრულების შეფასების ინდიკატორებს. ბიუჯეტის პრიორიტეტებია: პროგრამის ბიუჯეტირების მეთოდოლოგია, ფაკულტეტის, ფილიალების და ცენტრის მხარდაჭერის პროგრამა, მენეჯმენტის, მარეგულირებელი და ინფრასტრუქტურის/ კაპიტალის პროგრამა და სტუდენტთა/ პროფესიულ სტუდენტთა მხარდაჭერის პროგრამა. ბიუჯეტის შედგენისას საბიუჯეტო განაცხადებს წარმოადგენენ სტრუქტურული ერთეულები. პროცესში ჩართულია ფაკულტეტების აკადემიური პერსონალი. მაგალითად, მათი ჩართულობა გამოიხატება იმაში, რომ ისინი ითხოვენ გარკვეული ლიტერატურის შეძენას თავიანთი საგნებისთვის და სხვა. აკადემიური პერსონალი ბიუჯეტს ფაკულტეტის საბჭოზე განიხილავს და იღებს შესაბამის გადაწყვეტილებას.
აკადემიას აქვს ანგარიშგების სისტემა. ბიუჯეტის ხარჯვის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს პრორექტორი, სხვა დეპარტამენტებთან და ფაკულტეტებთან ერთად. შესყიდვები ხორციელდება სისტემატური გზით: დაგეგმვა, შესყიდვა, მართვა და შეფასება.
აკადემიის დაფინანსების წყაროებია: სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება, აჭარის მთავრობის ბიუჯეტიდან დაფინანსება, საერთაშორისო მიზნობრივი გრანტები, ცენტრალური სსიპ/ არასამთავრობო ორგანიზაციების გრანტები, საკუთარი შემოსავლები, საქართველოს კანონმდებლობით ნებადართული სხვა შემოსავლები. წარმოდგენილია საზღვაო აკადემიის დაფინანსების ბოლო 5 წლის დინამიკა, სადაც მზარდი დინამიკა შეიმჩნევა. გასაუბრებისას ასევე ახსენეს ფინანსური რისკები. თუ აკადემია ვერ იღებს მოსალოდნელ შემოსავლებს, მაშინ ბიუჯეტში ხდება ცვლილებები, იძებნება ალტერნატიული წყაროები, მაგალითად, სამთავრობო, ადგილობრივი.
ექსპერტებმა დეტალურად განიხილეს საზღვაო აკადემიის ბიუჯეტის დინამიკა, რადგან თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მონაცემებით, წლების მიხედვით იგრძნობოდა ფინანსური რყევები, თუმცა, გასაუბრებების დროს გაირკვა, რომ 2018 წელს ბიუჯეტში მკვეთრი ზრდა ფოთის ფილიალის შეერთების შედეგად დაფიქსირდა, წინა და მომდევნო წლების დინამიკა კი ნაკლები იყო. ასევე, საგრძნობლად მეტი იყო 2022 წლის ბიუჯეტი, რაც გამოწვეული იყო IAMU-ს კონფერენციის ორგანიზებითა და ჩატარებით.

მიუხედავად იმისა, რომ საზღვაო აკადემიის საერთო ბიუჯეტი 2024 წელს 2023 წელთან შედარებით იზრდება, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის დაფინანსების მაჩვენებელი მცირდება.

აღნიშნული ფაქტები წარმოდგენილი დოკუმენტებითა და მასალებით დადასტურდა.
საზღვაო აკადემია 6 თვეში ერთხელ ახორციელებს ბიუჯეტის მონიტორინგს და ანალიზს, რის საფუძველზეც საჭიროების შემთხვევაში არეგულირებს ბიუჯეტს. ასევე, წელიწადში ერთხელ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ საზღვაო აკადემიაში ტარდება გარე აუდიტი.

მტკიცებულელები/ინდიკატორები

- ბიუჯეტის მომზადების პროცედურა; - დაფინანსების წყაროები; - ბიუჯეტი; - ფინანსური ანგარიშები; - გასაუბრებების შედეგები.
რეკომენდაციები: - რეკომენდებულია, სამეცნიერო - კვლევითი აქტივობების დაფინასების გაძლიერება.
რჩევები:
საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):
შეფასება ☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან